

ՀԱՅԿԱՊՈՒՏՈՒԹՅԱՆ
ԿՈՄԻՏԵ

23

ԳՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ



საქართველოს
სამეცნიერო


საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1970





ფანი. 1969 წ. სამკაულები ქალის მდიდრული სამარხიდან (ძვ. წ. V ს.)



განმარტვის საერთაშორისო სავაჭრო სავაჭრო

საკომარტვის კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამიხანაშვილი, ანდრია
აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გოთოა, ლადო
გუდიაშვილი, ოთარ თაყთაყიშვილი, თეიმურაზ
კანდელაკი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კვიცი-
შვილი, ლევან ვახტანგი, ოთარ სანთაძე, ზირა
სტურუა (პ/მგ. მდივანი), ზიორგი ჩიტაია, ზიორგი
ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ჭიჭი-
შვილი,

დავით კაპანაძე

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის
ნუმისმატიკის განყოფილების გამგე

ქართველი საგანძურის ერთ-ერთი საცანკო

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმში სამართლიანად ითვლება ქართველი ერის საგანძურსაცავად, რადგან მრავალი ათეული წლის მანძილზე აქ გროვდებოდა ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა ხასიათის ნიმუშები. მათ შორის ერთ-ერთი საბაბით ადგილი უკავია ნუმისმატიკურ მასალას, რომლის შეგროვება მუზეუმის დაარსებისთანავე დაიწყო, მაგრამ თავდაპირველად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამის შედეგად XX ს. დასაწყისისათვის მონეტათა საერთო რაოდენობა დაახლოებით 2.000 ცალს შეადგენდა. მასალის ასეთი სიმცირე იმით აიხსნება, რომ მაშინ მუზეუმს არ ჰყავდა სათანადო დარგის მუშაკები.

ნუმისმატიკური ფონდების ზრდა ფაქტიურად რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით კი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ დაიწყო. აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, 1924 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ნუმისმატიკური კაბინეტი, რომელიც მალე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შემოუერთდა. აქ კი მეორე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ აკად. გ. ჩუბინიშვილმა იკისრა მზრუნველობა ამ უჯრედზე, რომლის გამგედ 1931 წ. 29/VI დაინიშნა დოც. თ. ლომოურის.

მუშაობის პირველი ეტაპი მთლიანად დაეთმო იმ ნუმისმატიკურ კოლექციების აღრიცხვას, თავმოყრასა და წესრიგში მოყვანას, რომლებიც მანამდე სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იყო გაფანტული (კავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და ქართული ენოგრაფიული საზოგადოებანი, თბილისის თავადაზნაურობისა და საეკლესიო კოლექციები და სხვ.) ამრიგად, თ. ლომოურის ერთპიროვნული მუშაობის შედეგად 1940 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თავი მოიყარა ძველებური მონეტების 35.000-ზე მეტმა ცალმა.

მუზეუმში შემოსულ მონეტათა რაოდენობა ამ დროიდან მოყოლებული ინტენსიურად იზრდება, რის შედეგად მუზეუმის ნუმისმატიკური განყოფილების ფონდში დაცულ მონეტათა რაოდენობა თანდათან 100.000 ცალს უახლოვდება. იზრდება აგრეთვე ნუმისმატიკ-სპეციალისტთა შტატი, თანდათან მალღდება მათი კვალიფიკაცია და უმჯობესდება მუშაობის მეთოდიკა. 1940—1943 წწ. ჩატარდა არსებული ნუმისმატიკური მასალის დაცვისა და აღრიცხვის ძირფესვიანი რეორგანიზაცია, ფონდების სისრულეში მოყვანა და ახალ პრინციპზე დალაგება: ქართული და სხვადასხვა ქვეყნების მონეტათა ფონდის გარდა გამოიყო „საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილი სამონეტო განძებისა და ცალკეულ მონაპოვართა“ საგანგებო ფონდი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი და შინაარსიანია.

ამ ფონდის მონეტათა გაერთიანების ძირითადი პრინციპი იყო ჩვენი ქვეყ-

ნის მიწა-წყალზე მათი მოპოვების ადგილის და გარემოების ფიქსაცია. ამ ფონდში შეტანილია ყველა მონეტა, მათი ამა თუ იმ ქვეყნის კუთვნილებისა და გამოშვების დროის მიუხედავად. აქ დაიმკვიდრეს ადგილი არა მარტო ქართულმა მონეტებმა, რაც, რა თქმა უნდა, ჭარბობს, არამედ იმ ქვეყნების მონეტებმაც, რომლებთანაც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველოს მჭიდრო ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური კავშირი ჰქონდა. ამ ფონდის მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია, რადგან სავაჭრო გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაუთავებელი ბრძოლების მნიშვნელოვანი პლაცდარმიც იყო და, ბუნებრივია, იპყრობდა ძლიერი მეზობლების ყურადღებას.

რადგან აქ მომხდარი ამბების მუდმივი თანამგზავრი მონეტები იყო და ეს მასალა ამის ნათელ წარმოდგენას იძლევა, ამიტომ იგი კვლევითი მუშაობის უღვევწყაროდ გადაიქცა, ხელი შეუწყო პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებას და თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სხვა ფონდების (საქართველოს, ძველი ერანის, საბერძნეთის, ელინისტური სამყაროსი და რომის, ბიზანტიისა და ტრაპიზონის, აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების, რუსეთისა და სხვა მონეტები) ღირებულებისა და მნიშვნელობის დაუმცირებლად, სადაც მრავალი საინტერესო, ზოგჯერ უნიკალური მონეტებიცაა, რომლებიც მსოფლიოს უდიდესი მუზეუმის ვიტრინებს დაამშვენებდნენ, ნუმისმატიკის განყოფილების მუშაკები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამ ე. წ. „განძების“ ფონდს, რომლის ანალოგია საბჭოთა კავშირის სხვა მუზეუმებში არ გვევლება.

მონეტათა მარაგის რეკულარული შევსების შედეგად ეს ფონდი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება და უკვე კარგა ხანია 20.000 ცალს გადააჭარბა, რაც არსებული მარაგის დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენს. ცალკეულ მონაპოვართა დიდი რაოდენობის გარდა ეს ფონდი შეიცავს 90-მდე სამონეტო განძს, რომელთა უმეტესობა შემოსულია მუზეუმში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ფონდების შევსების ერთ-ერთი წყარო — არქეოლოგიური ექსპედიციებია. ამ გზით შემოსული მასალა უფრო საიმედო და უტყუარია, რადგან ცნობები ყოველი მოპოვებული მონეტის შესახებ მაქსიმალური სიზუსტით ფიქსირდება. მუზეუმში შემოდის მრავალი მონეტა ცალკეული ეგზემპლარებით, ხშირად კი მთელი განძების სახით. უკანასკნელ დროს ფართო მასშტაბით გაშლილ მიწის სამუშაოთა წარმოების და მშენებლობის შედეგად. მონეტათა განსაზღვრული ნაწილი შემოწირულობის სახით შემოდის სხვადასხვა პირებისაგან, რაც აიხსნება საერთო კულტურული აღმავლობით. ადრე ასეთ აღმოჩენას მოგწვლილ თუ აღნობდა და სამკაულების დასამზადებლად იყენებდა, ან უკეთეს შემთხვევაში გადაამყიდველთან მიჰქონდა, ახლა მოსახლეობის უმრავლესობამ შეიგნო ამ ნიმუშების მნიშვნელობა, მათი მეცნიერული ღირებულება და ასრულებს რა თავის მოქალაქეობრივსა და პატრიოტულ მოვალეობას, ასეთ მონაპოვარს მუზეუმს აბარებს, ამიღიდრება მის ფონდებს და ამით სამსახურს უწევს წარსულის შესწავლას. ცხადია, რომ ეს წინაპართა მიერ დატოვებულ სახსოვრისადმი საბჭოთა ადამიანის მზრუნველობის მაჩვენებელია.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ასეთი მონაპოვრისა და მუზეუმში მისი მოტანის



დრო ერთმანეთს არ ემთხვევა და ამ ორ მომენტს შორის ზოგჯერ წლები გადის. ასეთ შემთხვევაში ცნობები მონეტათა აღმოჩენისა და ვითარების შესახებ სისტემატის აღარ ინარჩუნებს და განძის ხელშეუხებლობაც გარანტირებული აღარ არის. რა თქმა უნდა, ეს ძალიან აფერხებს მასალის მეცნიერულ დამუშავებას.

საქართველოში აღმოჩენილი განძების უმრავლესობა წარმოდგენილია ადგილობრივ მოჭრილი, ე. ი. ძირითადად ქართული მონეტებით. ხშირია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნიბიდან სხვადასხვა დროს ჩვენში შემოტანილი მონეტების განძები. გვხვდება აგრეთვე ე. წ. შერეული განძებიც, რომლებიც შეიცავს როგორც საკუთრივ ქართულ, ისე უცხო ქვეყნების მონეტებს. გაცილებით იშვიათია ფულისა და ნივთების განძები, სადაც მონეტების გარდა დაცულია რაიმე ნივთი ან სამკაული.

განძის დასამარხავად იყენებდნენ სხვადასხვაგვარ ტარას, ძირითადად, სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ქურჭელს. მაგრამ გვხვდება ლითონის ქურჭელიც: ასე მაგალითად: ძვ. წ. IV ს. კოლხური თეთრის დაბლაგომის განძი მოთავსებული იყო ვერცხლის ფილაში, ქობულეთის ასეთივე მონეტათა განძი ბრინჯაოს დოქში, ხოლო XVI—XVII სს. ევროპული მონეტები ქ. მახარაძის განძიდან — მოთავსებული იყო სპილენძის ქვაბში. ამ მიზნისათვის იყენებდნენ აგრეთვე ქსოვილისა ან ტყავის ქისებსა და პარკებს. ასეთი განძი მიწაში რომ ხვდებოდა, ქისა მჭიდროდ ეკვროდა მონეტებს, დროთა განმავლობაში თანდათან ლითონის მარილებით (ჟანგით) იჩლინებოდა და ისე მკვიდრად კონსერვდებოდა, რომ ახლა საშუალება გვეძლევა წარმოგვეჩინოთ მრავალსაუკუნოვანი ქსოვილის სტრუქტურის, ხარისხისა და მისი დამზადების წესის შესახებ.

ქსოვილების ასეთი ფრაგმენტი შემორჩენილია შემდეგი განძების მონეტებზე: ძვ. წ. IV ს. დაბლაგომის კოლხურ თეთრზე.

ახ. წ. III ს. ტრაპიზონში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე (ბიჭვინთიდან).

XI ს. თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის მონეტებზე (თბილისიდან).

XIII ს. რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტებზე (თბილისიდან).

XVIII ს. დასაწყისის თბილისურ ვერცხლის მონეტებზე (სოფ. ნორიოდან).

ძალზე საინტერესოა უკანასკნელი განძის დამარხვის ხერხი. განძის პატრონს დამარხვამდე მონეტები ჩაუყრიდა ქსოვილის პარკში, რომელიც თიხის ქოთანში მოუთავსებია და ქოთანი თავის სანთლით ამოუფსია. განძის მპოვნელმა კოლმურნე ნიკოლაიშვილმა აღმოჩენა მუზეუმს ხელუხლებლად გადასცა და ამით მეცნიერებას გადაურჩინა XVII—XVIII სს. ხუთსამდე მონეტა, ამავე დროს კერამიკა, 250 წლის წინანდელი ქსოვილისა და ცვილის ფრაგმენტები. საინტერესოა, რომ ცვილს დღემდე შემორჩა თავის სურნელი.

განძის შემადგენლობაში ზოგჯერ ისეთ ცალებს ვხვდებით, რომლებიც დახმარებას გვიწევს ფულის მოჭრის ტექნიკისა ან რომელიმე სხვა საკითხის გარკვევაში. ასე, მაგალითად, სოფ. ვეჯინში აღმოჩენილი თამარ მეფის მონეტათა განძის ზოგიერთ ცალზე შემორჩენილია ქისის დასამზადებლად გამოყენებული ქლიბის კვალი. საინტერესო ცნობებს შეიცავს ჯელალ ად დინის მონეტები, ზოგიერთი ცალი საშუალებას იძლევა დაეადგინოთ XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში მონეტათა დადამღვის შემოღებისა და გაქრობის ვადები.

ახლად აღმოჩენილი განძი ყოველთვის რაღაც ახალს იძლევა. განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტები შეიძლება თავისთავად არავითარ სიახლეს არ



წარმოადგენდეს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ან მოპოვების ადგილის, ან მონეტათა კომბინაციის, ან რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით და ამით საშუალება მოგვეცეს დავადგინოთ ესა თუ ის ფულადი სისტემა, თარიღი და სხვა. წერილობით წყაროებთან ამ მასალის შედარებისა და ანალიზის საშუალებით არა ერთხელ მივსულვართ საინტერესო დასკვნებამდე — არა მარტო ნუმისმატიკის, არამედ მეცნიერების სხვა დარგში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკური განყოფილების მასალებზე რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთულ ნაბეჭდ ორგანოებში, ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, ჩეხურ ენებზე დღეისათვის გამოქვეყნებულია ასამდე ნაშრომი. მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიულია. დადგენილია, რომ არსებობის მთელ მანძილზე საქართველოს სახელმწიფოში რეგულარულად იჭრება მონეტა, გარკვეულია აგრეთვე აქაური მონეტების მოჩვენებითი გაქრობის მიზეზი. უცხოეთიდან სხვადასხვა დროს შემოტანილი და ჩვენში ფართოდ გავრცელებული მონეტა ზოგჯერ ისე მკვიდრდებოდა, რომ შემდეგში პროტოტიპის დეტალების შენარჩუნებით მას ჭრიდნენ, როგორც საკუთარს. ზოგჯერ ასეთი მონეტა შემდეგში თანდათანობით იძენდა ინდივიდუალურ თვისებებს და წმინდა ეროვნულ ხასიათს იღებდა. ტრადიციულად ამ მონეტებს დიდი ხნის მანძილზე „მინაბაძებად“ ან უკეთეს შემთხვევაში „საქართველოსათვის მოჭრილ“ ფულად თელიდნენ და, ამრიგად, გულისხმობდნენ, რომ საქართველოსთვის უცხო დამპყრობლები ჭრიდნენ, მაგრამ რაც უფრო ღრმავდება მატერიალური კულტურის ძველთა შესწავლა, რაც უფრო მდიდრდება და ფართოვდება ფაქტობრივი მასალა, მით უფრო ნათელი ხდება ქართველი ხალხის უშუალო მონაწილეობა ამ სფეროშიც.

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული კოლხური მონეტების 12 განძის შესწავლის შედეგად გამოვლენილია ახალი სამონეტო ტიპები, ვარიანტები და ნომინალები. მათ შორის ისეთები, რომლებიც მხატვრულ-ტიქნიკური ნიშნებით არაფრით ჩამოუფარდება მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო ნიმუშებს. დადგენილია კოლხური თეთრის ადგილობრივი წარმოშობა და მოცემულია ამ უძველესი მონეტების ქრონოლოგიზაციის ცდები.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ალექსანდრე მაკედონელის და მისი მემკვიდრის ლისიმაქეს ოქროს სტატერების ადგილობრივ აღმოჩენილი ე. წ. „ბარბაროსული“ მინაბაძის 70-მდე ცალი, მაშინ როდესაც მხოლოდ დანარჩენ მუზეუმებში (ლენინგრადი, მოსკოვი, ბერლინი, პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი და სხვ.) ამის ნახევარიც არ მოიპოვება, რაც უკვე თავისთავად მეტყველებს მათ ქართულ წარმოშობაზე. ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთების მოტანაც შეიძლება, მაგრამ ამჟამად მხოლოდ კოლხეთის მეფე აკის სტატერს მოვიმარჯვებთ, რომელმაც საქართველოს ისტორიას შეუნარჩუნა დანარჩენი წყაროებიდან უცნობი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი მეფის სახელი.

საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის მრავალსაუკუნოვან ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ მრავალი საბუთი არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი სანდო და დამაჯერებელია საქართველოს მიწა-წყალზე ნაპოვნი და მუზეუმში დაცული რომაული, ბიზანტიური, სასანური, სელჯუკური და სხვ. ქვეყნების მონეტათა განძები, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება. არაბულ მონეტათა განძების შესწავლამ და მათი აღმოჩენის ადგილის



ტოპოგრაფიამ ხელი შეუწყო თ. ლომოურს ნათლად ერგეწებინა VIII—IX სს. არსებული სავაჭრო გზები. ჯაფარიანთა გვარეულობის თბილისის ამირათა მონეტების აღმოჩენამ დაზუსტება შეიტანა X—XI ს. ს. თბილისის მფლობელთა გენეალოგიაში (მ. ლორთქიფანიძე); დაზუსტდა აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ე. წ. ვერცხლის კრიზისის დასაწყისი და გაირკვა აქამდე უცნობი მონეტები.

ქ. გორსა და სოფ. მნაში აღმოჩენილი განძის წყალობით გამოირკვა, რომ ძველ საქართველოში მონეტათა მოჭრის უფლებით სარგებლობდნენ არა მარტო „მეფეთა მეფენი“, არამედ კალკე მძლავრი ფეოდალებიც. გამოვლინდა XIII ს. სომხითისა, XIV ს. ოდიშის, XV ს. სამცხე-საათაბაგოს და სხვა მფლობელთა სახელით მოჭრილი მონეტები. გამოირკვა, აგრეთვე, რომ თბილისის გარდა მონეტები იჭრებოდა დმანისში, ახალციხეში, ანისში, ყარაღაჯში, ზაგეჟსა და სხვა ქალაქებში (გ. წერეთელი, თ. ლომოური, დ. ლენგი).

XIV—XVI სს. ქართული მონეტები დიდი ხნის მანძილზე ისეთი მცირე რაოდენობით ჩნდებოდა, რომ მათი არსებობა ერთხანს ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული. ფიქრობდნენ, რომ ასეთი ავბედობის დროს საქართველოს არ ეცალა საკუთარი ფულის მოსაჭრელად. მაგრამ ლენინგორის, ალის, მნას, გორის და პატარა ჯიხაის განძების შემადგენლობამ გააბათილა ეს მცდარი ვარაუდი და გამოამჟღავნა იმდროინდელი ეროვნულ-ქართული ხასიათის მონეტათა მთელი უკუფები და სერიები. ამ მონეტების გარეგანი ნიშნები აშკარად ამჟღავნებს უცხოელ დამპყრობთა გაუთავებელი თარეშის შედეგად საქართველოს ეკონომიურ დაცემად დაქვეითებასა და კულტურულ რეგრესს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშივეა დაცული XV—XVII სს. ევროპული მონეტების რამდენიმე განძი და უამრავი ცალკეული ცალი, ნაპოვნი საქართველოს ტერიტორიაზე. უკანასკნელ დრომდე ეს მასალა არსებითად შესწავლის გარეშე რჩებოდა და საქართველოში ამ მონეტების გაჩენის მიზეზი, შემოტანის გზები, მიმოქცევის ინტენსიურობა და სხვა საინტერესო საკითხები გაურკვეველი რჩებოდა. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა და, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირის მიზეზი თანდათან ნათელი ხდება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკური ფონდებისა და მეცნიერული კადრების კვალიფიკაციის ზრდა სულ ახალ და ახალ მონეტებს აწვდის ქართულ ისტორიოგრაფიას და შეძლებისდაგვარად ეხმარება მის განვითარებას.



მონეტები და ისტორიული ფაქტები

წერილობითი წყაროების სიმცირისა და ფრაგმენტულობის გამო საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ბურუსითაა მოცული. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ კულტურის ძეგლებს, მათ შორის ნუმისმატიკურ მასალასაც. მონეტების საშუალებით, არც თუ ისე იშვიათად, ხერხდება საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტების გაშუქება. ასე მაგ.:

1. 1865 წ. ტრაპეზუნტის მიდამოებში (ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა), ხოლო 1946 წ. წულუკიძის რ-ნის სოფ. კინჩხაში აღმოჩნდა ოქროს მონეტა შუბლზე ახალგაზრდა ალექსანდრე მაკედონელისა და ზურგზე ქალღმერთ ათენას გამოსახულებით. მონეტაზე მოთავსებული ბერძნული წარწერა, „ბასილეოს აკუ“ იუწყებოდა, რომ იგი აკე მეფეს ეკუთვნოდა. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სხვა წყაროებით უცნობი აკე მეფობდა კოლხეთში ძვ. წ. III ს-ში. ამ გზით დადასტურდა ძვ. წ. III ს კოლხეთის მიწა-წყალზე სამეფოს არსებობის ფაქტი: წარწერაში აკე მეფეთაა მოხსენებული (სურ. 1).



1



2. ძვ. წ. 65 წ. იბერიის საზღვრებს რომის რესპუბლიკის სარდალი პომპეუსი მოადგა. იბერიის შემდეგ იგი კოლხეთში გადავიდა. პომპეუსმა კოლხეთის მმართველად დანიშნა არისტარქე და ამით ქვეყანას ეფემერული დამოუკიდებლობა მიანიჭა. ზოგიერთი ანტიკური წყარო არისტარქეს მეფეს უწოდებს, მაგრამ ეს ფერსია ამ უკანასკნელის სახელით ძვ. წ. 52—51 წწ. მოპრილ მონეტების შედწერილით არ დასტურდება. აქ ვკითხულობთ: „არისტარხეტუ ეპი კოლხიდოს“, — არისტარქესი (რომელიც) კოლხეთზედ (კოლხეთში) მმართველობდა (სურ. 2).



4

3. ბიზანტიის იმპერიასა და სასანელთა ერანს შორის საქართველოს ხელში ჩასაგდებად დიდი ბრძოლები წარმოებდა. VI საუკუნისათვის მათ საქართველოს გავლენის სფეროებად დაჰყვეს. დას. საქართველო ბიზანტიის ორბატის ქვეშ მოექცა, ხოლო იბერია — ერანის.

სასანელთა ერანი და ბიზანტია ურთიერთმოქიშპობამ და გაუთავებელმა ბრძოლებმა დაასუსტა. ერანი იმდენად გამოიფიტა, რომ ძველებურად ვეღარ ახერხებდა დამორჩილებული ქვეყნებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევას. ამით ისარგებლა იბერამ და ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის





სურ. 2. არისტარქე კოლხელის დრაქმა



სურ. 3. ქართულ-სასანური დრამა



5



6



დროშა ააფრიალა. მთელი ეს რთული ისტორიული ვითარება, ერანის ბატონობის თანდათანობით შესუსტება და ქართველი ხალხის სულ უფრო და უფრო მზარდი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლის წინააღმდეგ სათანადოდ აისახა ამ ხანის იპერიის მონეტებზე.

VI ს. დამლევისათვის ჩვენში მონეტები ერანულ ყაიდაზე იჭრება. მონეტის შუბლზე ყოველთვის გამოსახულია ერანის მეფის ბიუსტი, ხოლო ზურგზე — ცეცხლთაყვანისმცემელ სასანელთა ემბლემა — საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. შეამზოხე ქართველებმა ამ სტანდარტულ ტიპს თავდაპირველად მეფის მხარს ზემოთ მიუმატეს ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი, რომელიც ამავე დროს ეროვნული სიმბოლოც იყო. ეს იყო დიამნიშენლოვანი პოლიტიკური აქციის დასაწყისი. შემდეგ ეტაპზე მონეტის კიდეზე, მეფის გამოსახულების ზემოთ, ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს, რომლებიც ქართველ მთავართა სახელებს გვაუწყებს (ერისმთავარნი გურგენი, ვახტანგი და სხვ.). უფრო მეტიც: ქართველებმა ქრისტიანობის ემბლემა — ჯვარი, აგიზგიზებულ ცეცხლის ნაცვლად, საკურთხეველზე მოათავსეს (სურ. 3) და ამით ცეცხლთაყვანისმცემელ ერანელთა ემბლემა დემონსტრაციულად განდევნეს ქართულ მონეტიდან, ხოლო ერისმთავარმა სტეფანოზ II დამატებით, ყოველგვარი შემოკლებების გარეშე, მოათავსა თავისი სახელი მონეტის ცენტრში, მეფის გამოსახულების გვერდით (სურ. 4). როგორც ვხედავთ, აქ იშვიათი სიზუსტითაა ასახული ქართველ-ერანთა ბრძოლის პერიპეტეიები, ამ ბრძოლის დასაწყისი და მისი დასასრულიც.

4. 1123 წ. საქართველოს სასიქადულო მეფემ დავით აღმაშენებელმა სომხეთის დედაქალაქი ანისი „უსჯულოთაგან“ გაანთავისუფლა და საქართველოს შემოიერთა. ბრიტანეთის მუზეუმში დაცული დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტის ზედწერილი გვამცნობს, რომ ამასთან დაკავშირებით მას „სომეხთა მეფის“ ტიტული მიუღია. ზედწერილი ასე იკითხება: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა“ (სურ. 5).

5. 1247 წ. მონღოლთა უშაღღესმა ყაენმა საქართველოს ტახტზე ერთდროულად ორი პრეტენდენტი დაამტკიცა მეფედ: დავით ნარინი და დავით ულუ. 1247 წ-მდე დავით ნარინი რამდენიმე წლის განმავლობაში ჯერ ოქროს უღრში, შემდეგ კი ყარაყორუმში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, 1245 წ. ქ. დმანისში დავით ნარინის სახელით იჭრება სპილენძის მონეტა, რომლის მეშვეობითაც ორი მნიშვნელოვანი ფაქტი დგინდება: პირველი ის, რომ XIII ს-ის 40-იან წლებში დმანისში ზარაფხანა მოქმედებს. რის შესახებაც სხვა ცნობები არ გავაჩნია და მეორეც, როგორც ვარაუდობენ, დმანისი ამ დროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოადგენს, სადაც თავშეფარებულია დავით ნარინის მომხრეთა დასი რუსუდან დედოფლის მეთაურობით (თბილისი მონღოლთა ხელთაა) და მისი სახელით წინასწარ ანხორციელებენ სამონეტო რეგალიას (სურ. 6).



7



6. მიღებული ქრონოლოგიის თანახმად აღმოსავლეთ საქართველოში 1302 წ. ვახტანგ III გამეფდა. მაგრამ ეს თარიღი აშკარად მოითხოვს კორექტივს, რადგან ჩვენამდე მოაღწია ვახტანგ III ვერცხლის მონეტებმა, დათარიღებულია ჰიჯრის 698 წ. (1298-9 წწ), რომლის წარწერაშიც ვახტანგი უკვე მეფედ იხსენიება (სურ. 7).

7. XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე ყაზან-ყაენის სახელით მოქრილმა დირჰემმა დაადასტურა ახალციხის ზარაფხანის არსებობის ფაქტი.

კოლხური თეთრი

საქართველო — სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. უკვე ძვ. წ. VI ს-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრება ვერცხლის მონეტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის“ სახელითაა ცნობილი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური თეთრი მოჭრის ტექნიკითა და შესრულების მხატვრული დონით არაფრით ჩამოუვარდება ბერძნული სამყაროს თანადროულ ნუმისმატიკურ ძეგლებს.

კოლხური თეთრის მნიშვნელობა მეტად დიდია, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთულ და წერილობით წყაროებით ნაკლებად გაშუქებულ პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით. საქმარისია აღინიშნოს, რომ იგი ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ძვ. წ. VI ს-ში თანამედროვე დას. საქართველოს მიწა-წყალზე სამეფოს არსებობის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, კოლხური თეთრი პირველხარისხოვანი მასალაა ძველი ქართული პანთეონის შესასწავლად.

კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი არსებობს. ჩვენამდე მოღწეულ ერთეულებს შორის უდიდესია ე. წ. ტეტრადრაქმა (ანუ ოთხგრამიანი მონეტა). მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი — იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ღომის თავის გამოსახულება — მარცხნივ.

ზურგი — ჩაქდებულ კვადრატში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა (წინა ნაწილი) — მარჯვნივ.

წონა 13; 10,40; 12,72 გრ. (სურ. 1).

მსოფლიოში სულ სამი ასეთი მონეტაა ცნობილი. დაცულია პაავის, ბრიტანეთისა და საქ. სახელმწ. მუზეუმებში. სამივე მონეტა უპასპორტოა (უცნობია



1



2



2



3



მათი აღმოჩენის დრო, ადგილი და ვითარება), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შესავსებელი დანარჩენ კოლხურ მონეტებთან ¹მდგნად ²საქარაა, რომ სპეციალისტების მიერ თითქმის ერთხმად მიჩნეულია კოლხურ ნუმიზმატიკურ ძეგლებად. თარიღდება ეს მონეტა ძვ. წ. VI ს.

შემდეგ მოდის დიდრაქმების (ორდრაქმიანი) რიგი. ყველაზე ადრეული მათ შორის ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება და, ძირითადად, ასეთი სახე აქვს.

შუბლი — მწოლიარე ლომის გამოსახულება — მარჯვნივ, რომელსაც დაღრენილი თავი მარცხნივ აქვს მოზრუნებული.

ზურგი — ჩაჭედულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარის თავიანთ ადამიანის ფიგურა — მარჯვნივ.

(დიდრაქმების წონა მ—11 გრამის ფარგლებში მერყეობს).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი მონეტა I ტიპის კოლხური დიდრაქმის სახელწოდებით აღინიშნება. ისიც საკმაოდ იშვიათია: სამი ცალი ინახება საქ. სახელმწ. მუზეუმში, ორი — ერმიტაჟში, თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბრიტანეთის, ბერლინისა და ბოსტონის მუზეუმებში. აქედან — ოთხი დას. საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (ფოსა: და ზუგდიდის რ-ნის სოფ. ახალსოფელში²), იც ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებისადმი მათი მიკუთვნების მტკიცე საფუძველს ჰქმნის. (სურ. 2).

ასევე იშვიათია II ტიპის კოლხური დიდრაქმა, რომლის შუბლზე გამოსახულია ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ, ხოლო ზურგზე ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ორი ისეთივე თავი, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული. II ტიპის დიდრაქმაც რამდენჯერმეა ნაპოვნი ძველი კოლხეთის მიწა-წყალზე (ფოთი, ახალსოფელი). მას ძვ. წ. V ს-ით ათარიღებენ. (სურ. 3).

¹ Е.А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку, 1926, вып. I, гл. 37, № 9.

² ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, 1947, გვ. 425—428.

III ტიპის კოლხურ დიდრაქმას ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად აღმოჩენილა 1910 წ. ფოთში და თავის დროზე ხელთ ჩავარდნია ჩუხ მეცნიერს, ე. პოხიტონოვს. ამჟამად ეს მონეტა დაკარგულია. საბედნიეროდ, ე. პოხიტონოვს დარჩენია მისი ჩანახატი, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც. II ტიპის დიდრაქმისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ზურგზე ადამიანის თავების ნაცვლად ერთმანეთს დაპირისპირებული ხარის თავებია გამოსახული³. ეს მონეტა II ტიპის დიდრაქმის სინქრონულია.

ძვ. წ. V ს-ით თარიღდება აგრეთვე ქუთაისის მუზეუმში დაცული უნიკალური მონეტა, რომელიც, მართალია, უპასპორტოა, მაგრამ ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით იმდენად ახლოა სხვა კოლხურ მონეტებთან, რომ ის გამოჩენილმა საბჭოთა ნუმისმატმა ა. ზოგრაფმა უწყომანოდ მიაკუთვნა კოლხურ მონეტათა რიცხვს⁴. ამ მონეტის შუბლზე გამოსახულია ლომის თავი პირდაპირ, ზურგზე კი, ჩაქდულ კვადრატში მოთავსებულია ხარის თავი — მარჯვნივ.

გარდა მსხვილი ნომინალებისა, იჭრებოდა აგრეთვე კოლხური თეთრის მცირე ნომინალებიც, კერძოდ, ნახევარდრაქმები ანუ ტრიობოლები. კოლხური ტრიობოლები ორი ტიპითაა ჯერ-ჯერობით წარმოდგენილი. I ტიპის ნახევარდრაქმები ძალიან იშვიათია. მათი მსოფლიო მარაგი ოთხი ცალით განისაზღვრება. ამასთანავე ყველა მათგანა საქართველოშია მიკვლეული (ახალსოფელსა⁵ და ქობულეთში⁶).

მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი — დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი.

ზურგი — ჩაქდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძე ლომის პროტომა.

წონა: 2,21—2,61 გრ. — (სურ. 4)

კოლხურ მონეტებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეობას II ტიპის ნახევარდრაქმა წარმოადგენს. იგი ათასობითაა აღმოჩენილი დას. საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი“ (რუსულად — „КОЛХИДКИ“) თავდაპირველად სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ მათთან ერთობლივი აღმოჩენის ფაქტებმა და მსგავსებამ დიდად შეუწყვეს ხელი და-



5

³ დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, 1969, გვ. 28.
⁴ А. Н. Зограф, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ, 1945, I, გვ. 36.
⁵ ს. მაკალათია, მითით. ნაშრომი, გვ. 426.
⁶ დ. კაპანაძე, მითით. ნაშრომი, გვ. 29.

ნარჩენი ტიპების გენეზისის ახსნას. ამ მონეტების საშუალო წონა 2 გრ-ია. შუბლზე გამოსახულია ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე — ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. (სურ. 5)

ამ ეტაპზე I ტიპის ნახევარდრაქმებს ძვ. წ. V, ხოლო II ტიპის ტრიობოლებს ძვ. წ. V—IV სს. ათარიღებენ.

სამწუხაროდ, კოლხური თეთრის საიდუმლოება ჯერ კიდევ არ არის მოღიანად გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი შრომები არსებობს, არ შეიძლება ითქვას, კოლხურ თეთრის პრობლემასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი საბოლოოდ იყოს გადაჭრილი. ეს ეხება როგორც ამ სამონეტო ჯგუფის გენეზისს, ისე დათარიღებასა და, განსაკუთრებით, მათზე ამოტვიფრულ გამოსახულებათა ინტერპრეტაციას. სრულებით გაუგებარია, მაგ. I ტიპის კოლხურ დიდრაქმის ზურგზე გამოსახული დაჩოქილი ხარის-თავიანი ფანტასტიკური არსების სემანტიკური მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა პროფ. ს. შაკალათიას მოსაზრება, რომ ეს ფიგურა მინოტავრის არქაულ სახეს წარმოადგენს⁷, მაგრამ ამ დებულებას დასაბუთება აკლია. ასევე არაა სათანადოდ არგუმენტირებული II ტიპის დიდრაქმასა და ნახევარდრაქმაზე გამოსახული ადამიანის თავის დაკავშირება ჰერასთან⁸, დალისთან⁹, რეა კიბელასა¹⁰ და მთვარის კულტთან¹¹. აუხსენელია მცირერიცხოვან კოლხურ ტრიობოლებზე ამოტვიფრული ბერძნული ასოების (Φ, Λ, ΜΟΚΟ) მნიშვნელობა, დასადგენია მისი ზუსტი ქრონოლოგია და ა. შ. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, კოლხეთში სამონეტო საქმის შესახებ პირდაპირი ცნობების უქონლობითა და ამ მონეტების აბსოლუტური უმრავლესობის ან ეპიგრაფიული ხასიათითაა გამოწვეული. გარდა ამისა, მეცნიერების განკარგულებაში ჯერ კიდევ არა საკმარისი მასალაა მტკიცე დასკვნების გამოსატანად. განსაკუთრებით ეს კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალების შესახებ ითქმის. ზემოთქმული განაპირობებს კოლხური თეთრის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა ჰიპოთეტურ ხასიათს.

⁷ ს. შაკალათია, მითითებ. ნაშრომი, გვ. 427.

⁸ «Нумизматический сборник», т. I, гв. 65; В. М. Скуднова, Находки колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952, № 2, гв. 239.

⁹ ს. შაკალათია, კოლხური დიდრაქმა, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, VII, 1933, გვ. 202

¹⁰ III. А. Амврашавили, История грузинского искусства, Москва, 1960, гв. 80.

¹¹ Д. Г. Капанадзе и И. Г. Шенгелия, Триморфная геката с колхидской дидрахмы V в. до н. э. Сб. «Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья», Ленинград, 1968, гв. 154—162.

ენიმო კილურაძე


ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი

მონეტები დაფნარის სამაროვნიდან

როინის მარცხენა ნაპირზე, საჯავახოსა და დაბლაგომს შორის შთის კალ-
თებს შექმენია პატარა სოფელი დაფნარი. აქ ცხოვრობს ომგადახდილი ქვეიანი
და გამრჯე გლეხკაცი პოლიაქტორ ცინცაძე. მეზობლები ერთხმად ამბო-
ბენ, შავ კაცს რომ ორივე ფეხი ჰქონდა, ამ კორტოხებსაც ააყვავებდაო.
დილიდან საღამომდის შრომობს პო-
ლიაქტორი და შრომაც უფასდება. მას
აინტერესებს მშობელი მიწის, როგორც
მომავალი, ისე წარსული. სწორედ ამ
ქვეყნის წარსულისადმი სიყვარულმა
გადაურჩინა მეცნიერებას მეტად საყუ-
რადლებო არქეოლოგიური ძეგლები.
ეზოში მუშაობის დროს იგი წააწყდა
ძველ კოლხურ, შესანიშნავად შემკულ
უზარმაზარ ქვევრებს, დოქებს, ლარნა-
კებს, სასმისებს, ვერცხლისა და ბრინ-
ჯაოს სამკაულებს, ძველებურ ფულებს.
თავისი აღმოჩენის შესახებ მან სასწრა-
ფოდ აცნობა საქართველოს მეცნიერება-
თა აკადემიას, მიღებული იქნა შესაბამი-
სი ზომები და დღეს საქართველოს არ-
ქეოლოგიაში ერთი საინტერესო ფურცე-
ლი გადაიშალა. არქეოლოგიურმა ექსპე-
დიციამ, რომელიც დაფნარში უკვე სამი
წელია მუშაობს, გამოარკვია, რომ აქ
ძველი საგაქრო გზების გზაჯვარედინ-
თან ძვ. წ. V—II სს. არსებობდა საკმაოდ
ღონიერი კოლხური სოფელი, გამოვლენი-
ლი იქნა მისი თანადროული სამარო-



ვანი. დადგინდა ისიც, რომ ძვ. წ. V—III სს. მიცვალებულებს დაფნარელები
საღვინე ქვევრებში მარხავდნენ. მათი წარმოდგენით მიცვალებულს იმქვეყნიუ-
რი ცხოვრებისათვის ყველაფერი ის სჭირდებოდა, რასაც ხმარობდა სიცოცხ-
ლეში. ამიტომ ატანდნენ პირადი მოხმარების ნივთებს: კურტკელს, იშვიათად
იარაღს. წესად ჰქონდათ დაკრძალვის დროს მთელი ან გატეხილი საღესი ქვის



ჩაყოლება. გარდა ამისა, მიცვალებულს პირზე აღებდნენ ვერცხლის მონეტას, რასაც ზოგიერთი მეცნიერი (ბ. კუფტინი) ბერძნული წეს-ჩვეულების გავლენით ხსნიდა. (ელინების წარმოდგენით გარდაცვლილის სული აიღის ქვეყანაში მოხუც ქარონს უნდა გადაეტანა, რომელიც ამ სამსახურისათვის ფულს — სამ ობოლს ღებულობდა). შემდეგში ეს დებულება სხვა ავტორებმაც გაიზიარეს (მ. ინაძე, ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ.). ცნობილია, რომ ასე ადრეულ ხანაში, ძვ. წ. V—IV სს. ბერძნულ-კოლხურ ურთიერთობას არ ჰქონია ისეთი ინტენსიური ხასიათი, რომ მისი შედეგი ყოფილიყო კოლხეთის სოფლის მოსახლეობის მსოფლმხედველობის ასეთი კონსერვატიული სფეროს ცალკეული ელემენტების შეცვლა. არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი დანიშნულების ადათი ჩვენგან დამოუკიდებლად წარმოიშვა—ადგილობრივი განვითარებული ფულადი ურთიერთობის საფუძველზე¹. დაფნარის ქვევრსამარხებში აღმოჩენილია 50 მონეტა, აქედან 99% ადგილობრივი წვრილი (ნახევარდრაქმები) მონეტებია, ე. წ. კოლხური თეთრები. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ წინაანტიკური ხანის კოლხურ სოფელში ყოფის აუცილებელი ელემენტი გამხდარა. ფარცხანაყანევის, დაბლაგომის, ზემო-ფარცხმის და სხვა სოფლის სამაროვნებში აღმოჩენილი მონეტები კარგად გვიჩვენებენ, რომ თავისუფალი მეთემეები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბაზრებთან, აქტიურად მონაწილეობენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში, რაც უდავოდ მთლიანად კოლხეთის სამეფოს ეკონომიური განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. როგორც აღნიშნავდა ფ. ენგელსი, „განვითარების გზაზე შემდგარმა ფულის მეურნეობამ დაშალა სოფლის თემის ნატურალური მეურნეობა. გვაროვნული წყობილება სრულიად ვერ ურიგდებოდა ფულის მეურნეობას“². თუ რა მაღალ დონეს მიაღწია ფულადი მეურნეობის განვითარებამ წინაელების-

¹ დაფნარსა და შებობელ სოფლებში დადასტურებული იქნა ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის აქამდე უცნობი ფაქტი. მიცვალებულებს, ზოგჯერ, პირში ვერცხლის ფულს უღებენ. ჭირისუფალთა აზრით თუ გარდაცვლილს ვისმეს ვალი ჰქონდა, „იმ ქვეყანაში“ გადაუხდიდა.

² ფ. ენგელსი. *ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა*. კრებ. მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ. თბილისი, 1937, გვ. 163.

ტურ კოლხეთში, ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითებიდანაც. არასრული მონაცემებით, დღეისათვის აღრიცხულია 5.000-ზე მეტი კოლხური თეთრი, აქედან 2200-ზე მეტი მარტო ს. ჯანაშიას სახ. სახ. მუზეუმშია დაცული (დ. კაპანაძე). როგორც ცნობილია, ამ ტიპის მონეტები ძირითადად დასავლეთ საქართველოში ტრიალებდა. ხშირია მათი განძების აღმოჩენის ფაქტები. დღეისათვის 40-ზე მეტი განძია ცნობილი. ამ განძების ნაწილი აშკარად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს უკავშირდება (ახალსოფელი, ჩომეთი, ხოფი, მთისძირი, ლეჩხუმი და სხვ.) ცნობილია, რომ „საქონლის მფლობელმა, რომელიც ახლა განძის დამგროვებლად არის გადაქცეული, შეძლებისამებრ ბევრი უნდა გააყიდოს და შეძლებისამებრ ნაკლები იყიდოს“ (კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. დასახ. კრებული, გვ. 56). აქედან გამომდინარე, თუ განძების აღმოჩენის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, აღებ-მაცემობას წინაელინისტურ კოლხეთში განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია. დაფნარის მკვიდრო ბაზარზე ალბათ გააქონდათ უარბი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, ყიდულობდნენ კი შორეული ქვეყნებიდან შემოტანილ სამკაულებს, ტურქელს და სხვა. დაფნარის ქვევრსამარხების ინვენტარის ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მიუხედავად საგრძნობი სოციალური დიფერენციაციისა, სოფლის მოსახლეობაში ჯერ კიდევ მძლავრია საშუალო შეძლების მეთემურთა ფენა.

კარგად არის ცნობილი, რომ კოლხური თეთრის აღნიშნული სახეობა დიდი ხნის, თითქმის 150 წლის, განმავლობაში იჭრებოდა. ბერძნული სამყაროსგან განსხვავებით, აქ ტრადიცია იმდენად მტკიცე ყოფილა, რომ მონეტების გამოსახულებანი არ შეცვლილა. მონეტის შუბლზე გამოსახულია ქალღმერთის თავის მარჯვენა პროფილი, ვაშლილი გრძელი თმებით და დაიდებით, ხოლო ზურგზე ხარის თავი, მარჯვნივ. ჩვენი მონეტების მიხედვით მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთ ქვევრსამარხში მაღალმხატვრული ცალების გვერდით ვხედავთ უხეშ, სქემატურ ეგზემპლარებს. რითია ეს განსხვავება გამოწვეული, ჯერ-ჯერობით ძნელი გადასატრელია. თუ ეს გარემოება ქრონოლოგიურ სხვაობაზე არ არის დაფუძნებული, მაშინ სხვადასხვა ზარაფხანების არსებობა უნდა ვივარაუდოთ. დაფნარის ქვევრსამარხებში აღმოჩენილი მონეტების წონა მერყეობს 1,950 გრ. — 0,700 გრ. ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მათი უმეტესობა მიმოქცევაში დიდხანს იმყოფებოდა, მაგრამ წონის ასეთი მერყეობა ყოველთვის გაცვეთის ინტენსიობით როდეს უნდა აიხსნას. ქვევრსამარხ NE 5-ში, რომელიც ძვ. წ. IV ს. თარიღდება, აღმოჩნდა 9 კოლხური თეთრი. განსაკუთრებით საინტერესოა ორი შესანიშნავად დაცული, მაღალმხატვრული მონეტა, რომლებიც ახლადმოჭრილებს გვანან. მიუხედავად კარგი დაცულობისა, ამ ორი მონეტის წონაც საგრძნობ განსხვავებას იძლევა; ერთი იწონის 0,950 გრ.-ს, მეორე — 1,49 გრ.-ს. აშკარაა, რომ მიუხედავად წონის ასეთი სხვაობისა, მაინც ერთ ნომინალთან გვაქვს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონეტის საფასის, ნამდვილი ღირებულების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ნუმისმატიკის აზრით, წონის ასეთი მერყეობა ტრიობოლებისთვის დამახასიათებელი ჩანს, ისინი საგრძნობ ვადახრებს იძლევიან (1,2—2,6 გრამის ფარგლებში), ხშირად ერთი სისქით მოჭრილ მონეტებშიც კი. კოლხური ნახევარდრაქმის (ტრიობოლი) ადრეული ცალეები იწონიან საშუალოდ 2,40 გრ.-ს, ამიტომ სამართლიანად არ უჭერს დ. კაპანაძე მხარს კოლხური თეთრების უფრო წვრილი ნომინალების გა-





მოყოფას. როგორც ჩანს, ამ წვრილი ვერცხლის ფულის მოჭრისას მართლაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა (მ. ინაძე). მოქმედებდა თუ არა ეს ფაქტორი „კოლხიდეების“ მსყიდველობით უნარზე, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხადი, რომ მონეტების წონის შემცირება შეგნებულად ხდებოდა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარკვეულ ეკონომიურ მიზნებს ემსახურებოდა. ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ საბოლოოდ გამოიწვია ალბათ მათი მოჭრის შეწყვეტა. მართო გარეშე ეკონომიური ფაქტორებით (ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერების დიდი რაოდენობით მოზღვაგება კოლხეთში და მათთან კონკურენციის შეუძლებლობა) ახსნა მართებული არ გვეჩვენება (კ. გოლენკო). № 5 სამარხში აღმოჩენილ ოთხ მონეტაზე, მათ შორის აღწერილ ცალბეზე, აღბეჭდილია ორი ბერძნული ასო MO თუ EO, ასეთივე ასოებიანი კოლხური თეთრი აღმოჩნდა ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებული № 13 ქვევრსამარხში და შემთხვევით მონაპოვარ ორ კოლხურ თეთრზე. დაბლაგომში აღმოჩენილია MO ასოებიანი 6 კოლხური თეთრი, აქედან 2 ცალი აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. დათარიღებულ № 26 ქვევრსამარხში. საერთოდ, წარწერიანი კოლხური თეთრები დიდი იშვიათობაა და მიღებული აზრის მიხედვით „ასოები გვხვდება უკვე გაუხეშებულ, გვიანდელ ცალბეზე“ (კ. გოლენკო, ო. ლორთქიფანიძე). ამ მტკიცებას ეწინააღმდეგება ზემოთაღწერილი ორი მონეტა, რომლებიც დამზადების ოსტატობით, გამოსახულებათა მაღალმხატვრული სტილით, ბერძნული ხელოვნების ნიმუშებს უტოლდებიან.

წარწერიანი კოლხური თეთრების მცირერიცხოვან ჯგუფში (იხინი მხ. 1% შეადგენენ) უარსობენ MO (EO?) წარწერებიანი მონეტები. ნუმისმატები აღნიშნავენ, რომ ამ წარწერების მნიშვნელობა და შინაარსი ჯერ-ჯერობით არაა გარკვეული, მიუხედავად რამოდენიმე ჰიპოტეზის არსებობისა. ზ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ მონეტაზე შესაძლოა MO და EO აღრეგას ჰქონდეს ადგილი (რის მაგალითებიც მოჰყავს) და უნდა იკითხებოდეს ღვთაების ეპითეტი EO [TEP] — მფარველი, ნ. ხოშტარია MO-ს თვლიდა ცენტრალური კოლხეთის ერთ-ერთი მდიდარი და დაწინაურებული ოლქის მოხერესის — მუხურის სახელწოდების დასაწყისის პირველ მარცვლად. (პროკოპი კესარიელი კოლხეთში იხსენიებს ქალაქ „მოხერესის“-საც, BP, II, 29). თუ ბერძნულ ადრეულ მონეტებს მოვიშველიებთ, ყველა ეს ვარაუდი მისაღებია. მაგალითად, ქალაქების სახელწოდების პირველი ასოები იყო ამოტიფრული ეგვიპტურ და ბეოტიის ვერცხლის ფულეზე. საყურადღებოა, რომ VI საუკუნის შუა წლებში ბეოტიაში არსებობდა ქალაქების კონფედერაცია, ლიგა, რომელიც ერთნაირი სახის მონეტებს უშვებდა, მაგრამ თვითონი მათგანის მიერ მოჭრილ ფულზე თავისი სახელწოდების პირველ ასოებს აღბეჭდავდა ხოლმე. ასეთი ქალაქები იდო ტანაგრი, კორონეა, თებეი და სხვ. ეს მონეტები მიმოქცევაში იყო მთელ ბეოტიაში და არ შეადგენდა მართო რომელიმე ქალაქის გაცვლა-გამოცვლის საშუალებას. (მაგალითად, ქალაქ აულის მონეტაზე აღბეჭდილი იყო ასო A).

დ. კაპანაძისა და კ. გოლენკოს მიხედვით კოლხური თეთრების მოჭრა შეწყდა ძვ. წ. IV ს. ბოლო მეოთხედში. დაფნარის სამაროვანზე კარგად დათარიღებულ ძვ. წ. III ს. დათარიღებულ ქვევრსამარხებში ამ ტიპის მონეტები ჯერ არ აღმოჩენილია. სამარხებში მონეტების ჩატანების წესი კი ამ დროს კვლავ განაგრძობს არ-



სებობას. № 21 ქვევრსამარხში, რომელიც ძვ. წ. III ს. თარიღდება, აღმოჩნდა კარგად დაცული სინოპური ვერცხლის მონეტა, ნახევარდრაქმა.

მონეტის შუბლი: ნიშნა 2,50 გრ. დ-1, 1 სმ. სინოპეს თავი, დაკბილულ გვირგვინში, მარჯვნივ.

მონეტის ზურგი: გემის ქიმი, მარცხნივ. სუროს შტო, მონოგრამა. მონეტა მოჭრილი ქ. სინოპში, ძვ. წ. IV ს. ბოლოსა და ძვ. წ. III ს. დასაწყისში.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ფიკენარში და სოხუმში არაერთხელ აღმოჩენილა ძვ. წ. IV ს. სინოპური მონეტები, დრაქმები, რომელზედაც ქალაქის ღერბი დელფინი და არწივი იყო გამოხატული. ასეთ გამოსახულებიანი (დელფინი — არწივი, ნიშნა სინოპე) მონეტები აღწერილი აქვს ე. გაბლიანს, რომელსაც ისინი უპოვნია სვანეთში არქეოლოგიური გათხრების დროს. ჩვენი მონეტაც, რომელიც ხურდა ფულის დანიშნულებას ასრულებდა, გვიჩვენებს სინოპური ფულების შედარებით ფართე გავრცელებას. შესაძლოა სინოპურ და კოლხურ ტრიბოლებს ერთნაირი გასავალი ჰქონდათ კოლხეთის საშინაო ბაზარზე. დაფნარში, ისევე როგორც კოლხეთის სხვა მრავალ პუნქტში, აღმოჩენილია სინოპური კერამიკული ნაწარმიც: ლუთერებისა და ამფორების, მათ შორის დამლიანი ყურების ფრაგმენტები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სინოპეს განსაკუთრებულ როლს კოლხეთის ეკონომიკაში.

დაფნარში აღმოჩენილი მონეტები ნათლად გვიჩვენებს, რომ კოლხეთის სამეფოს საკმაოდ განვითარებულ საშინაო ფულად მიმოქცევაში გაბატონებული ადგილი ადგილობრივ წვრილ ვერცხლის ფულებს ეკავათ, რის ხანგრძლივი მოჭრისათვის საჭირო იყო მძლავრი ნივთიერი ბაზა, ადგილობრივი ვერცხლის საბადოები.

თამარის ფული

1184 წ. გარდაიცვალა საქართველოს მეფე გიორგი III. მის ქალიშვილს თამარს მრავალეროვანი და ვრცელი სახელმწიფო დარჩა საგამგებლოდ. „საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში და სხვათა ცხოვრებაშიც იშვიათი მოვლენა იყო იმ დროს, სხვაგანაც მაგალითი არ ყოფილა, რომ მეფედ და სახელმწიფოს მმართველად ქალი გამხდარიყო“¹. ეს მით უფრო ხაზგასასმელი მოვლენაა, რომ უკვე ამ დროს საქართველო ძლიერი, მრავალი ქვეყნის მფლობელი, სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხთა ბატონი იყო. თამარის კურთხევისას მას წელზე ხმალიც შემოარტყეს, როგორც სამეფოს მეთაურსა და უზენაეს მთავარსარდალს.

თამარის მეფობაში ფეოდალურმა საქართველომ პოლიტიკურ და სამხედრო ძლევამოსილების მწვერვალს მიაღწია. მის წინაშე ქედს იხრიდა მრავალი მაკმადიანი მთავარი — შაპარმენი თუ რუმის სულტანი, დარუბანდისა და არზრუმის მბრძანებელი. მაკმადიან ამირთ-ამირების ხელთ მყოფი სომეხთა მეფეების ყოფილი სამფლობელოებიც საქართველომ შემოიერთა.

„XII საუკუნის საქართველომ აქტიური პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი და იმდროინდელი მცირე აზიის ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიჭირა, საერთაშორისო მნიშვნელოვან ძალად იქცა“².



თამარის მეფობაში საქართველომ არამარტო პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია. ქართული მიწების გაერთიანებამ, ფეოდალური მონარქიის ტერიტორიის გაზრდამ მის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოახდინა — უჩვეულო სისწრაფით დაიწყო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება, რასაც ხელს უწყობდა სახელმწიფოს მიერ გზების, ხიდებისა და ქარვასლების მშენებლობა. გაშენდა და გაძლიერდა ქართული ქალაქები. საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ეკონომიური კავშირები მახლობელი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან; არაბულ სამყაროსთან, ირანთან, ბიზანტიასთან, ეგვიპტესა, ჩინეთსა და სხვ.³

საქართველო ამ დროს აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველადაც გამოდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას არასოდეს არ უბრძოლია მუსლიმანური სარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 245, თბილისი, 1965 წ.

² იქვე, გვ. 296.

³ III. A. Мекхиа, История Грузии (краткий обзор) გვ. 17—18, Тб. 1968 г.



სურ. 1. თაზარის ფული



წმუნობების წინააღმდეგ. პირიქით, სიმშვიდის დროს მათთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირიც ჰქონდა და, ისტორიკოსთა მოწმობით, თვით თამარის სახელმწიფოში მამამდიანნი უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე თავის ქვეყანაში. ეს თამარის სიბრძნესა და გამჭრიახობას მოწმობს.

თამარის მეფობის დროს საქართველოში, რასაკვირველია, საკუთარი ფულიც იჭრებოდა, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ სპილენძისა. ეს ის დროა, როდესაც მთელი მახლობელი აღმოსავლეთი მოცულია ე. წ. „ვერცხლის კრიზისით“. საყოველთაოდ იჭრება არასწორი ფორმისა და სხვადასხვა წონის სპილენძის მონეტები, რომელიც იწულებით ვერცხლის კურსით მიმოიქცევა ბაზარზე. ამ მხრივ არც საქართველო შეადგენდა გამონაკლისს.

თამარის სახელი პირველად მეფე გიორგი III ფულზე ჩანს⁴, თანამართველად მისი გამოცხადების შემდეგ (1178 წ.).

მონეტა სპილენძისაა, სხვადასხვა ფორმისა და წონის.

შუბლი: წნული ხვეულების ვარდულში სხვადასხვაგვარად დაქარაგმებული ასომთავრული სახელი „თამარი“ ვარდულის ბუდეებში, აგრეთვე ასომთავრულით „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“, ირგვლივ ხაზოვანი რკალი.

ზურგე: წნული ხვეულების ვარდულის ცენტრში ასომთავრულად „გი“ — „გიორგი“ გარშემო ასომთავრულით: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“. ირგვლივ ხაზოვანი რკალი⁵.

მონეტაზე თამარის სახელის მოხსენიება პოლიტიკური მნიშვნელობის ქესტი იყო. გიორგი III ხაზს უსვამდა ქალიშვილის კანონიერ უფლებებს ქვეყნის მმართველობის საქმეში.

მამის გარდაცვალების შემდეგ, 1184 წ. თამარი საქართველოს სრულუფლებიანი, ერთპიროვნული მმრძანებელი გახდა. ამ დროიდან ფულიც მისი სახელით იჭრებოდა. ამ მონეტების ზედწერილები შესანიშნავად ასახევენ თვით თამარისა და ქვეყნის სიძლიერეს, მის მყარ პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. საყურადღებოა, რომ მეფის მედიდური ეპითეტები გადმოცემულია არაბულად, იმ ენაზე, რომელიც სახელმწიფო და საერთაშორისო იყო ქართველთა მეზობლებისათვის.

მონეტის გარეგნული სახე ასეთია:

სპილენძი. სხვადასხვა ზომისა და წონის.

შუბლი: ცენტრში, მხედრული ანბანით, ვენზელის სახით მოცემულია თამარის სახელი. ირგვლივ ნასკეებიანი წნული, გარშემოვლებული ხაზოვანი რკალით, მის გარეთ, გარშემოწერილი ასომთავრულად: „სახელითა ღვთისათა იქნა ქედაი ვეცხლისი⁶ ამის ქორონიკონსა ოთხასშვიდს“ (= 1187 წ.) (ან ოთხას ოცდაათს — 1210 წ.).

ზედწერილს მოსდევს წერტილოვანი რკალი.

⁴ Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955 г. გვ. 63.

⁵ Е. А. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, გვ. 95—96, СПб, 1910 г.

⁶ „რაკი სპილენძის ფულს საქართველოს მთავრობა „ვეცხლად“ აცხადებდა ამით უნდოდა აღნიშნა, რომ მის მოკრიბ სპილენძის ფულს ვერცხლის ფულის, ანუ დრამის ფასი ჰქონდა მამასადაჲ, ამით მთავრობას სპილენძის ფულისათვის სავალდებულო გადაკვეთილი ფასი დაუწესებია“. — ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია. გვ. 49, თბ., 1925 წ.



ზ უ რ გ ი: ცენტრში ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი“ დიდებული მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა, მესისის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძღვევანი მისნი“. გარშემო არაბულად: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“, და კვლავ წერტილოვანი რკალი⁷.

როგორც დავინახეთ, ამგვარი სახის ფული ორი, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული წლებით არის ხოლმე დათარიღებული — 1187 და 1210 წ.წ.

საფიქრებელია, რომ ასეთი ქრონოლოგიური დაშორება გამოწვეული უნდა იყოს თამარისა და დავით სოსლანის სახელით აღბეჭდილი მონეტების ემისიის შეწყვეტით, რაც ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. როგორც ჩანს, 1210 წ. თამარმა განაახლა ვენზელიანი მონეტების მოჭრა, მაგრამ მცირე ხნის ვინაიდან სწორედ ამ წლითაა დათარიღებული ლაშა გიორგის ფულიც⁸.

თამარ მეფის სახელით მოჭრილი აქამდე განხილული მონეტები ე. წ. „არაწესიერი ჭედისა“ და სხვადასხვა წონისა იყო. თამარის და მისი მეორე ქმრის დავით სოსლანის სახელით 1200 წ. მოჭრილი ფული კი უკვე ჩვეულებრივი, „წესიერი“ ფორმისაა. წონა მ—7,5 გრ. შორის მერყეობს.

შ უ ბ ლ ი: ცენტრში ნიშანი, რომლის მნიშვნელობა ჯერჯერობით აუხსენელია. მის ორსავე მხარეს თამარისა და დავითის სახელები დაქარაგმებული მთავრულად: „თამარ“ „დავით“. კუთხეებში „ქორონიკონი 420 (= 1200 წ.), ან მის გარეშე (რაც უფრო იშვიათია)⁹. ირგვლივ რკალი შერწყმული წერტილებისაგან.

ზ უ რ გ ი: არაბული, ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესისის თაყვანისმცემელი“, ირგვლივ რკალი შერწყმული წერტილებისაგან¹⁰.

საყურადღებოა, რომ თამარისა და დავითის მონეტის შუბლზე გაჩენილი ნიშანი, ქართულ ნუმისმატიკაში უფრო გვიანაც ჩანს: ნაწილობრივ სახეშეცვლილი რუსუდან დედოფლის ვერცხლის ფულზე. შემდეგ დემეტრე II სპილენძის მონეტაზე და ბოლოს 1310 წ. დავით დემეტრე II-ის ძის ფელსებზე¹¹.

1210 წლიდან, გიორგი IV ლაშას გამეფებასთან ერთად იწყება ახალი სახის მონეტის მოჭრა, სადაც მეფე თავს უწოდებს „გიორგი ძე თამარისა“.

⁷ Е. А. Пахомов, Митит. ნაშრომი, გვ. 99—199; თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938 წ. გვ. 288—289.

⁸ Е. А. Пахомов, Митит. ნაშრომი, გვ. 103.

⁹ თ. ლომოური, თამარის ფულების განძი, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, I, თბილისი, 1936 წ. გვ. 284.

¹⁰ Е. А. Пахомов, Митит. ნაშრომი, გვ. 103.

¹¹ Д. Г. Капанадзе, Митит. ნაშრ. გვ. 66. მისივე, Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах. Сб., Г. И. М. посвященный 100 летию со дня рождения Орешникова

ოღიშის ბანძი

საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტების აღმოჩენა ხშირია. ცნობები ამ აღმოჩენათა შესახებ უკვე გასული საუკუნის 70-იან წლებიდან გვაქვს. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიური მონეტების პოვნის შემთხვევებმა იმატა და დღეისათვის ცალკე ცალკეებისა და განძების აღმოჩენის სამ ასულამდე შემთხვევაა აღრიცხული საქართველოს ტერიტორიის როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ნაწილში. ამ მონეტების შესწავლა და ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში უკვე ბიზანტიის პირველი კეისრის არკადის (395—408) დროის მონეტები შემოდის. ისტორიულ წყაროთა ცნობით საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა სწორედ ამ დროიდან მომდინარეობს და მეტნაკლები სისრულით საკეისროს არსებობის მთელ მანძილზე გრძელდება.

ბიზანტიურ მონეტებს, რომლებიც ქართულმა მიწამ შემოგვინახა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ზოგიერთი ნაკლებად შესწავლილი მოვლენის სათანადოდ გაანალიზება დაზუსტების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. ამ რიგს მიეკუთვნება ოდიშში აღმოჩენილი ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძიც.

დასავლეთ საქართველო — ისტორიულ წარსულში ეგრისისა და ლაზიკის სახელით იყო ცნობილი, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს გარკვეულმა ნაწილმა ოდიშის სახელწოდება მიიღო. სახელდობრ, როდის მოადა ეს — ცნობილი არაა. წყაროებში ოდიში პირველად XII საუკუნეში გვხვდება. ოდიშს თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს; ოდიში აგრეთვე მოხსენებულია სხვადასხვა დროის საბუთებში, კერძოდ, სასისხლო სიგელებში, შეწირულებათა წიგნებში და სხვა.

დაახლოებით 1960 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ოდიშში, ყოფილი სასიძინდე ყანის, შემდეგ კი გაყამირებული ნაწილის ჩაის პლანტაციებისათვის ტრაქტორით მოხვნისა და მოსწორებისას — ხანდახან ჩნდებოდა ვერცხლის ძველი მონეტები. რომლებიც შემდეგში დაკარგულა.

1966 წელს იმავე საყანე ადგილას კოლმეურნე ხუტა ბულია ბარვის დროს წააწყდა შავი თიხის კოჭობის ძირს, რომელშიაც ვერცხლის 28 მონეტა აღმოჩნდა, მისი ნაწილიც დაკარგულია, გადარჩა მხოლოდ 13 ცალი. ამ აღმოჩენამ გვაფიქრებინა, რომ თავდაპირველად ტრაქტორმა ხვნის დროს გატეხა ის კოჭობი,



1



2





რომლითაც განძი იყო ჩამარხული და შიგ მოთავსებული მონეტები აღმოჩნდა. შემდეგ წლების განმავლობაში ამ მონეტებს პოულობდნენ პლანტაციის მომუშავენი.

გადარჩენილი 13 მონეტიდან 1966 წლის დეკემბერში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 12 მონეტა შემოწირა მპოვნელმა ხუტა ბულიამ, ხოლო 1 — (მის მიერ გაჩუქებული) იური სართანიამ.



3



როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ბიზანტიური მონეტების აღმოჩენა ხშირია — ჩნდება როგორც ოქროსი, ისე ვერცხლისა და სპილენძის ფულები, მაგრამ, ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძის პოვნა პირველ შემთხვევას წარმოადგენს.

საფიქრებელია განძში თავდაპირველად მეტი რაოდენობის მონეტები შედიოდა: ჩვენამდე მოღწეული მონეტები განეკუთვნება ბიზანტიის კეისრების ორ წარმომადგენელს; მავრიკის (582—602) 2 მილიარესი¹ და ირაკლისა და ირაკლი-კონსტანტინეს (610—641) 11 პესასავრამი². აქვე უნდა ითქვას, რომ მავრიკი კეისრის ვერცხლის მონეტები საკმაოდ იშვიათია. ოდიშის განძის აღმოჩენამდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკურ კოლექციის ძირითად ფონდში, ერთადერთი ცალი იყო დაცული³. მავრიკის ვერცხლის მონეტების იშვიათობა სპეციალური ლიტერატურული ცნობებითაც დასტურდება.

საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში მავრიკის ვერცხლის მონეტების აღმოჩენა ჯერჯერობით ფიქსირებული არ არის.

ვიძლევიტ ამ განძის სანიმუშო ცალეების აღწერილობას.

1. მავრიკი კეისრის მონეტის წონა — 2,12 გრ. დიამ. 20—21 მმ. შუბლი — კეისრის ბიუსტი მარჯვნივ, საზეიმო მუზარადით, მხედრის წამოსასხამით, გარშემო ლათინური ზედწერილი: დომინუს ნოსტერ მავრიკაუს ავგუსტუს — ე. ი. ბატონი ჩვენი მავრიკი მუდამ აღზევებული; ირგვლივ ორმაგი წერტილოვანი რკალი. ზურგი — მოზრდილ სფეროზე აღმართული ჯვარი; ირგვლივ ორმაგი წერტილოვანი რკალი.

2. წონა — 1,15 გრ. დიამ. 18—20 მმ.

შუბლი — როგორც წინა, მხოლოდ თავსაბურავზე ზურგის შტამპია დაკრული, ამის გამო მუზარადი ნაწილობრივ დაფარულია. სამაგიეროდ, გარკვევით ჩანს ზურგის სიქის ჯვარი და მარცხენა მხარის პალმის ტოტი. მარჯვენა მხარეს — კი პალმის ტოტის პატარა მონაკვეთი, უფრო სწორედ — ორი ფოთოლი; შერჩენილი ლათინური ზედწერილი მავრიკის სახელზე მიგვიითთებს; გარშემო ორმაგი წერტილოვანი რკალი.

ზურგი — ცენტრში ჯვარი, აქეთ-იქით პალმის თითო ტოტი, ირგვლივ ორმაგი წერტილოვანი რკალი.

¹ ინენტ. №№ 11831 — 11832.

² ინენტ. №№ 11833 — 11843.

³ ინენტ. № 392.

3. ირაკლი კეისრის მონეტის წონა — 6,22 გრ. დიამ. 22 მმ.

შუბლი — სამეფო ტახტზე მჯდომარე მარცხნივ ირაკლი (წვერიანი), ხოლო მარჯვნივ ირაკლი — კონსტანტინე (უწვერო); ორივე ჯვრიანი გვირგვინით და გრძელი სამეფო სამოსელით, თითოეულს მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ზემოთ მათ შორის მომცრო ზომის ჯვარი, გარშემო ლათინური ზედწერილი; დომინი ნოსტრი პერაკლიუს ეტ პერაკლიუს — კონსტანტინუს — ბატონი ჩვენი ირაკლი და ირაკლი-კონსტანტინე, რკალი წერტილოვანი.

ზურგი — ჯვარი სფეროზე და სამსაფეხურიან გოლგოთზე აღმართული, გარშემო ლათინური ზედწერილი „დეუს ადიუტა რომანის“ — ე. ი. დმერთო, დაეხმარე რომაელებს, რკალი წერტილოვანი.

როგორც აღწერილობიდან დაგინახეთ, ჰექსაგრამები მილიარესისაგან გარეგნულადაც განსხვავდებიან. მათ ზურგზე ჯვარი სფეროზე და გოლგოთაზეა აღმართული, მარჯვნივ და მარცხნივ პალმის ტოტის ნაცვლად, შემოწერილია — „დეუს ადიუტა რომანის“ — ასეთი წარწერა პირველად 615 წელს მოჭრილ ორმაგ მილიარესზე ანუ ჰექსაგრამზე ჩნდება.

ოდიშის განძი გადარჩენილი მონეტების მიხედვით, VII საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება, მაგრამ შეიძლება ამ თარიღის მეტი დაზუსტებაც ვცადოთ და განძი 632 წლამდე ჩამარხულად ვივარაუდოთ, რადგან მასში ირაკლის, ირაკლი-კონსტანტინესი და ირაკლიონის სახელით მოჭრილი მონეტა (დაცული არაა), ამ უკანასკნელთა მოჭრა 632 წლის შემდეგ დაიწყო.

იმ დროინდელ ვითარებით გამოწვეული ხანგრძლივი ომებისა და შინა კლასობრივი ბრძოლების წყალობით ბიზანტიის საკეისრო VII საუკუნეში მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმპერიის ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ირაკლი კეისრის მიერ გატარებული რეფორმები საფინანსო სფეროსაც შეეხო, კერძოდ, მან მოაჭრევინა მძიმე წონის მონეტები — ჰექსაგრამები. ამ ახალი ნომინალის მონეტები მილიარესზე უფრო მძიმეა ერთნახევარჯერ ან, ზოგჯერ, ორჯერაც.

VI საუკუნის 30-იან წლებში ირანში სამეფო სასახლეში მომხდარ აჯანყების გამო ხოსრო II იძულებული გახდა ბიზანტიის საკეისროს შეფარებოდა. მან მალე მავრიკი კეისრის დახმარებით დაიბრუნა სამეფო ტახტი.

VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის საკეისროც ისეთივე შეხლა-შემოხლამ და ძმათა ხოცვამ დააუძლურა. სწორედ ამით ისარგებლა ირანის შაჰმა, ხოსრო II-მ და ბიზანტიასთან ომი განაახლა, რომელიც მისივე გამარჯვებით დამთავრდა. ირაკლი კეისარმა თავისი გამჭირვაბობის წყალობით, წესრიგის დამყარების მიზნით, რეფორმა გაატარა როგორც ჯარში, ისე საფინანსო საქმეში. ამით იმპერია თანდათან წელში გაიმართა, ირანში კი კვლავ შინაგანი წინააღმდეგობა გრძელდებოდა. ბიზანტიამ ისარგებლა ამ შემთხვევით და ირაკლი კეისრის მოთავეობით საქართველოზე გავლით შეიჭრა ირანში და გამარჯვებაც მოიპოვა.


ბიზანტიისა და ირანის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს გამო ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა — ლაზიკა ისევ ბიზანტიის მფარველობის ქვეშ დარჩა... იბერიაც სპარსთა ბატონობას ხელიდან გამოაცალეს ბიზანტიელებმა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 268).

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში სრულიად კანონზომიერია ჩვენში ბიზანტიური მონეტების შემოსვლა, გავრცელება და აქვე მათი განძად ქცევა, რომლის საილუსტრაციოდ ოდიშის განძი გამოგვადგება.

ახალი მასალები საქართველოში ევროპული მონეტების
მიმოქცევის შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმისმატიკური განძების შემადგენლობიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში ადგილობრივი ქართული ფულით გვერდით ჩვენში მიმოქცევაში იყო უცხო სახელმწიფოებიდან შემოსული მონეტებიც. უცხო მონეტებიდან უპირატესობა ჩვეულებრივ საერთაშორისო ზაზარზე გავრცელებულ მონეტას ეძლეოდა. ასეთი მონეტების რიცხვს ეკუთვნოდა პოლონეთ-ლიტვის სამეფოსა და ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფოს¹ ორტები, პოლტორაკები და დრაიპოლკერები.

პოლონეთ-ლიტვის სამეფოში ორტები პირველად 1608 წელს ქალაქ გადანსკის ზარაფხანაში მოჭრეს. მისი ღირებულება 10 გროშს შეადგენდა. ეს მონე-



ტები მალე პოლონეთ-ლიტვის საზღვრებს გასცდა და იმდენად გავრცელდა ევროპაში, რომ ბრანდენბურგის, პრუსიისა და შვეციის ზარაფხანებმა ამავე ნომინალისა და ყიადის ფულის ნიშნების მოჭრა დაიწყეს. 1614 წლიდან პოლონეთში ხელი მიჰყვეს მცირე ნომინალების — პოლტორაკების გამოშვებას, რომლის ნომინალური ღირებულება 1,5 გროშს შეადგენდა. პოლტორაკი, ორტის მსგავსად, ბრანდენბურგის, პრუსიისა და შვეციის ზარაფხანებშიც იჭრებოდა და დრაიპოლკერის სახელწოდებით იყო ცნობილი. ამრიგად, პოლტორაკი და დრაიპოლკერი ერთი და იგივე ნომინალს წარმოადგენდა.

დღეისათვის ცალკეული ცალებისა და განძების სახით საქართველოს მიწა-წყალზე ორტების — 10, ხოლო პოლტორაკებისა და დრაიპოლკერების 1 განძის აღმოჩენის შემთხვევაა ფიქსირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აღმოჩენათა ძირითად ნაწილს შეადგენს პოლონური მონეტები, ხოლო უმნიშვნელო ნაწილს — ბრანდენბურგული და პრუსიული მონეტები. ამ უკანასკნელთაგან საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე 4 ორტა და 3 დრაიპოლკერია აღმოჩენილი. საფიქრებელია, რომ ეს მონეტები საქართველოში უშუალოდ ბრანდენბურგ-პრუსიიდან კარ შემოდიოდა, არამედ პოლონეთიდან.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში პოლონური მონეტები ამ სახელმწიფოების დამაკავშირებელი შავი ზღვისა და მდინარე დნეპრის გზით

¹ 1618 წ. ბრანდენბურგის სამარკვაჟო და პრუსიის სამარკვაჟო გაერთიანდნენ.

ერცედლეზოდა². ბუნებრივია, რომ გარდა პოლონური მონეტებისა, საქართველოში ამ ვზით უნდა შემოსულიყო პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოში გავრცელებული სხვა ევროპული მონეტებიც. ეს დასტურდება პოლონური მონეტების განძებში ბრანდენბურგულ-პრუსიული ორტების აღმოჩენის შემთხვევებით.

ორტების გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში პოლტორაკებისა და დრაიპოლკერების განძიცაა აღმოჩენილი.

1942 წელს თბილისში ტრამვაის პარკის ტერიტორიაზე ლიანდაგის შეკეთების დროს იპოვეს პოლონური პოლტორაკებისა (19 ცალი) და ბრანდენბურგულ-პრუსიული დრაიპოლკერების (3 ცალი) განძი³. პოლონური მონეტები სიგიზმუნდ III (1587—1632 წწ.) ეკუთვნის და 1621—1626 წლებშია მოჭრილი. ბრანდენბურგულ-პრუსიული კი გეორგ-ვილჰელმს (1619—1640 წწ.) და 1622—1624 წლებშია გამოშვებული⁴. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი ოთხი წლით განისაზღვრება. ამ მონეტების განძად გადაქცევა ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამრიგად, თბილისის განძის შემადგენლობიდან ირკვევა, რომ პოლონურ პოლტორაკებთან ერთად საქართველოში ბრანდენბურგულ-პრუსიული დრაიპოლკერებიც შემოდიოდა.

სანიმუშოდ მოგვყავს ერთ-ერთი დრაიპოლკერის მეტროლოგიური მონაცემები და აღწერილობა:

ვერცხლი, 1622 წ. დრაიპოლკერი, წონა 1,1 გ, ზომა 20 მმ, ინგ. № 10406.

შუ ბ ლ ი: სწორხაზოვან რკალში გამოსახულია საღერბო ფარი პრუსიის, ნიურნბერგის, კლევესისა და ბრანდენბურგის ღერბებით; საღერბო ფარის თავზე მოთავსებულია გვირგვინი; მის ქვემოდ ზედწერილში ჩასმულია ნომინალის ღირებულების აღმნიშვნელი რიცხვი — 3 (დრაიპოლკერი უდრის სამ ნახევარგროსთან); თოკისებური რკალით ირგვლივ შემოვლებულია ლათინური ზედწერილი: გეორგ ვილჰელმი მარკგრაფი ბრანდენბურგისა, საღვთო რომის იმპერიის კურფიურსტი.

ზ უ რ გ ი: სწორხაზოვან რკალში გამოსახულია ჯვრიანი სფერო; სფეროში ჩასმულია რიცხვი — 24, რომელიც აღნიშნავს, რომ 24 დრაიპოლკერი უდრის ერთ ტალერს; გვერდებზე უზის თარიღის დასასრული: 2—2; თოკისებური რკალით ირგვლივ შემოვლებული აქვს ლათინური ზედწერილი: პრუსიის საჰერცოგოს ახალი მონეტა.

XVII საუკუნეში ევროპის რიგ ქვეყნებში ერთნაირი სამონეტო სისტემა მოქმედებდა. ხშირად სხვადასხვა სახელმწიფოები სპეციალური შეთანხმებით საერთო სამონეტო სისტემას ღებულობდნენ. მაგალითად, საქსონიის საკურფიურსტომ, ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფომ და ბრაუნშვაიგ-ლუნებურგის სა-

² რ. ქებულაძე, საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის საკითხისათვის, აკად. ს. ჟანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXI-B, თბილისი, 1963.

³ ეს განძი 1961 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შემოსწირა პროფ. ვ. ეორდანიამ.

⁴ ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდი №16 10389—10409.



პერცოვომ 1667 წლის კონვენციით ერთნაირი წონისა და სინჯის 2/3 ტალღები შემოიღო ბრუნვაში. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს მონეტები ადვილად ვრცელდებოდა და კარგად ეგუებოდა ერთმანეთს ბრუნვაში. ამიტომ იყო, რომ პოლონეთიდან ადგილობრივ მონეტებთან ერთად საქართველოში შემოსხენებული დრაიპოლკერებიც შემოდიოდა.

საქართველოში ბრანდენბურგ-პრუსიის მონეტებს წინ უსწრებდა ევროპის სხვა სახელმწიფოების მონეტების მიმოქცევა. ამიტომ დრაიპოლკერები, როგორც ევროპული სისტემის ფული უცხო არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ბაზრებისათვის, რაც, თავის მხრივ, ჩვენში ამ მონეტების გავრცელებისა და ბრუნვაში დაკანონების მყარ საფუძველს წარმოადგენდა.

მერი ანთაპი

აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის
 უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა

XV საუკუნის ბოლო წლებიდან ოსმალეთის სახელმწიფომ დაიწყო საკუთარი ოქროს მონეტების ე. წ. ალთუნების გამოშვება, რომელთა წონა 3,50 გრამი-დან 4 გრამამდე მერყეობს. უფრო მოგვიანებით თურქეთში იჭრება ოქროს მსხვილ-ნომინალი ე. წ. ალთუნ-აშრეფი, წონით 6-7 გრამი, ამ სახის აშრეფი თბილისის ზარაფხანაშიც მოჭრილა.

1723 წელს თბილისი თურქებმა დაიპყრეს და ქართლში შეფობა გააუქმეს. მათ ქართლზე თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები გააგრძელეს.

ქართლის მმართველად ისააყ ახალციხის ფაშა დაინიშნა და სატახტო ქალაქადაც თბილისი აირჩია. ოსმალები ქართლში 12 წელს ბატონობდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ ხელთ იგდეს ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი და მათ შორის თბილისის ზარაფხანაც, სადაც ფული სულთნის სახელით იჭრებოდა.



1



იმდროინდელი თბილისის ზარაფხანა ძირითადად უშვებს ვერცხლის მონეტებს. ესენია: ონლიქები, ბეშლიქები და ნიშბეშლიქები, რომლებიც შედარებით ხშირად გვხვდება. გაცილებით უფრო იშვიათია ამავე ტიპის ოქროს მონეტები.

საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გარდა ზემოჩამოთვლილი ნომინალებისა, თბილისის ზარაფხანაში ამ დროს მოიჭრა ორმაგი ალთუნი ე. წ. ალთუნ-აშრეფი, რომელიც დიდ იშვიათობას წარმოადგენს და აქამდე ცნობილი იყო კონსტანტინოპოლის მუზეუმის ერთადერთ ცალად¹.

ისეთ დიდ საცავებში, როგორიცაა ლენინგრადის ერმიტაჟის და მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდები, ამგვარი მონეტა არ შეგვხვდრია.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში ამჟამად მოიპოვება მეორე ცალი, რომელიც 1965 წელს პროფ. ე. პახომოვის კოლექციის დანარჩენ მონეტებთან ერთად გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

¹ ისმაილ ჰალეზი, ოსმალური მონეტების კატალოგი (ოსმალურ ენაზე) ქ. კონსტანტინოპოლი, 1890 წ. გვ. 40.



ვიძლევიტ ამ უიშვიათესი მონეტის აღწერილობას და ფოტორეპროდუქციას
წონა 6,15 გრ., ზომა 30—32 მმ.

შ უ ბ ლ ი: ცენტრში „ტულრა“², ქვემოდ არაბულად მოჭრის ადგილი და
თარიღი.

მოიჭრა თბილისში

1115 წ.³

ზ უ რ გ ი: სულთნის მედიდური ეპითეტი ოთხ სტრიქონად

სულთანი ორი ზმელეთისა
და მპყრობელი ორი ზღვისა
სულთანი ძე
სულთნისა

ირგველივ წერტილოვანი და ხაზოვანი რკალი.

² „ტულრა“ შემოდებული იყო სულთან მურად I დროს (1359—1369 წ. წ.) ის წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა და როდესაც ზელი უნდა მოეწერა რაიმე ოფიციალურ საბუთზე, თითებს მელანში ისველებდა და გაწილიად ადებდა ქაღალდს. ამას ეძახდნენ ტულრას. სულთნის კალიგრაფებსმა ეს ტულრა გააღამაზეს და გადააქციეს სახელმწიფო ბეჭდად.

³ თარიღი ინიციალურია და აღნიშნავს სულთან აჰმედ III ტახტზე ასვლის წელს (ჰიჯ. 1115 წ. — 1703/4 წ.) როგორც წესი, თურქეთში ყველა მონეტა თარიღდებოდა სულთანის ტახტზე ასვლის წლით.

თინათინ კუთელია

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის
 ასპირანტი

ქახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა

აკად. ს. ჯანაშიას სახელმძღვანელო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების განძების ფონდში ინახება ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც აღმოჩნდა 1967 წელს პანკისის ხეობაში, სოფელ ბირკიანში ახმეტის რ-ნი). განძი ჩაფლული იყო ქოთნით და ვერცხლის 21 მონეტას შეიცავს¹.

მონეტები მოჭრილია სპარსეთის სეფიანი შაჰების შაჰ-სეფი I (1629—1642 წწ.) და შაჰ-აბას II (1642—1667 წწ.) სახელით. განძის ყველაზე ადრეული მონეტის თარიღია ჰიჯ. 1039 წ. (= 1629—30 წწ.), ხოლო ყველაზე გვიანდელი — ჰიჯ. 1052 წ. (= 1642 წ.).

ბირკიანის განძი შემდეგ ნომინალებს შეიცავს: 13 აბაზს, 6 — მამულს (ანუ ორშაურთანს) და 2 შაურს. მონეტები მოჭრილია თბილისში (7 ცალი), განჯაში (1 ცალი), ხოვეიზაში (1 ცალი) და ზაგემში (2 ცალი)².

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს ორი უკანასკნელი მონეტა: სპარსული მონეტების არცერთ კატალოგში ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა გამოქვეყნებული არ არის.

ვიძლევიტ ამ ორი მონეტის აღწერილობას:
 ორივე მონეტა აბაზია.

1. № 11952 წონა — 7,52 გ. დიამეტრი — 22 მმ (სურს. 1).

შუბლი: წერტილოვან და ხაზოვან რკალებში ჩასმული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური ფორმულით: არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა (მუჰამედი მოციქულია ალაჰისა) ალი თანაგამზრახია ალაჰისა.

ზურგი: ასეთივე რკალებში მოქცეული ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (თარიღის მხოლოდ ორი უკანასკნელი ციფრია შერჩენილი): სიწმინდის ხელმწიფის მონა სეფი ([10] 39) მოიჭრა ზაგემში.

2. № 11953, წონა — 7,47 გ დიამეტრი — 21 მმ (სურ. 2).

შუბლი: ისეთივე, როგორც № 1.

ზურგი: ხაზოვან რკალში ჩასმული ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (თარიღი არ იკითხება): სულით და გულით შაჰის მონა სეფი) მოიჭრა ზაგემში.



¹ ჯ. ჯანაშია, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 147.

² მოჭრის ადგილი მონეტებზე პირველმა წაიკითხა აზერბაიჯანელმა ნუმისმატმა ა. რაჟაბლიმ.



აღწერილი მონეტების ზურგზე მოთავსებული ორივე ფორმულა ცნობილი არა მარტო შაჰ-სეფის სახელით მოჭრილ მონეტებზე, არამედ მის პირად შექმნილზეც; სიტყვები „სიწმინდის ხელმოწევა“ და „შაჰი“ გულისხმობს შიიტების სათავეანებელ იმამ ალის³.

ზაგემის ზარაფხანა, როგორც აღენიშნეთ, აქამდე ცნობილი არ იყო; ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია პროფ. დ. კაპანაძემ, რომელიც ბირკიანის მონეტების შესახებ წერს შემდეგს: „განსაკუთრებით საინტერესოა ჰიჯრის 1039 (= 1629 წ.) ზაგემში მოჭრილი ორი აბაზიანი. ზაგემი, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის საზღვრებშია, უკანასკნელ დრომდე საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო XV—XVII სს-ში კახეთის ერთ-ერთ მსხვილ ქალაქად ითვლებოდა“⁴.



2



მონეტაზე აღნიშნული პუნქტი კახეთის „ზაგემად“ მიიჩნია პროფ. დ. ჭილაშვილმა⁵.

ისტორიული წყაროების მიხედვით XVI—XVII საუკუნეებში ზაგემი გრემსა და თელავთან ერთად წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს⁶.

არსებობს მოსაზრება, რომ ზაგემი იგივე ქალაქი ბაზარია⁷. ძველი სპარსელი ისტორიკოსების პასან რუმლუსა და ისკანდერ მუნშის ცნობები კახეთის ზაგემის ადგილმდებარეობის დაახლოებითი განსაზღვრის საშუალებაა იძლევა. როგორც ჩანს, ზაგემი მდებარეობდა ალაზნის მარცხენა ნაპირას, ისტორიული კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, გრემიდან შირვანში მიმავალ გზაზე⁸.

XVII საუკუნის დასაწყისში ზაგემი რამდენჯერმე იქნა განადგურებული შაჰ-აბას I მიერ, ხოლო მოსახლეობა აყრილი და გადასახლებული სპარსეთში⁹.

როგორც ირკვევა, ზაგემი კვლავ მოშენებულა 1625—32 წლებში, როდესაც თეიმურაზ I მოახერხა სპარსეთის ძალადობისაგან დროებით თავის დაღწევა და შეტევიით საგარეო პოლიტიკის წარმოებაც კი დაიწყო⁹.

სწორედ ამ შედარებითი სიმშვიდის პერიოდში, 1629—30 წელს მოუჭრიათ მონეტა ქალაქ ზაგემში და რამდენადაც ორივე ზემოთაღწერილი მონეტა სხვადასხვა სისქითაა მოჭრილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ზაგემის ზარაფხანას საკმაოდ ინტენსიურადაც უმუშავებია.

³ ვლ. ფეთურჩიკი, სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წინათმცოდნეობაში, წიგნი I, თბილისი, 1961, გვ. 44, 47.

⁴ დ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

⁵ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს. თბილისი, 1958, გვ. 76.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია I, თბილისი, 1958, გვ. 293.

⁷ პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1966, გვ. 21. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1969, გვ. 106—7.

⁸ ისკანდერ მუნში, გვ. 107—109.


⁹ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1953, გვ. 19.



ქართული
ბიბლიოთეკა



ვანი. 1969 წ. კუს გამოსასულეებებისგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი
ქალის მდიდრული სამარსიდან (ძვ. წ. V ს.)



ვანი. 1969 წ. ოქროს დიადემის დეტალი ქალის მდიდრული
სამარხიდან. (ძვ. წ. V ს.)

ოთარ ლორთქიფანიძე
 ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
 რუსულან ფუტურაძე
 ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

**ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ
 1969 წელს ჩატარებული მუშაოების შედეგები**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს ველზე მუშაობდა 12 ივნისიდან 15 სექტემბრამდე შემდეგი შემადგენლობით: ზელ-მძღვანელი — ოთ. ლორთქიფანიძე, მთავარი — რ. ფუთურაძე, არქიტექტორი გ. ლეჟავა, მხატვარი გ. მჭედლიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები: გ. ლორთქიფანიძე, ე. თოლორაძე, ა. ტყონია, მ. მიწიშვილი, ნ. მათიაშვილი, ნ. გვიგოლაშვილი, ნ. კილურაძე, თ. ფარცხანია, ი. ცუხიშვილი, ასპირანტები: ზ. აგრაბა, დ. კაჭარავა, სტუდენტები — მ. ფიცხალავა, ო. ლანჩავა, ნ. აფციაური, ტექნიკოს-კომსტრუქტორი თ. ჯავახიშვილი, ოპერატორი-ფოტოგრაფი გ. ავალიანი.

ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა წარმატებით გრძელდებოდა 1969 წლის ზაფხულშიც. როგორც უკვე კარგად არის ცნობილი, ვანში კარგა ხანია ითხრება ნაშთები საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქისა, რომელიც, როგორც არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, ძვ. წ. V ს-ში უკვე არსებობდა, ხოლო ძვ. წ. I საუკუნეში ბრძოლაში დაიღუპა და ცეცხლში დაიწვა. გასულ წელს, წინა წლებში გამოვლენილი სამლოცველოს აღმოსავლეთით გაიწმინდა საძირკველი ნაგებობისა, რომელიც ძვ. წ. II ს-ში დანგრეულა და რომელსაც სხვადასხვაფრად შეღებილი კედლები ჰქონია. გადარჩენილია შავად, ლურჯად, ყვითლად და წითლად შეღებილი ბათქაშის ნატეხები. ამ ნაგებობას თავის დროზე დაუზიანებია ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენა, რომელიც მრავლად შეიცავს კოლხური თიხის ჭურჭლის ნატეხებს.

ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, სადაც აღმოჩენილია ძვ. წ. III—I სს. ნაგებობანი და ქალაქის გალავნის კედლები. აქ თითქმის მთლიანად დასრულდა წინა წლებში ნაწილობრივ გამოვლენილი „მრგვალი ტაძრის“ არქეოლოგიური შესწავლა. გამოირკვა, რომ თავდაპირველად (ძვ. წ. IV ს-ის დასასრული, III ს. დასაწყისი) ნაგებობა იყო სწორკუთხა (11 8×10 8) და ამოყვანილი იყო შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული სწორკუთხა ფილებით, უფრო გვიან (ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში) სწორკუთხა შენობის საძირკველზე ამოუყვანიათ მრგვალი შენობა — ტაძარი. ეს ნაგებობა რომ ტაძარია, ამაზე მეტყველებს აქვე ნაპოვნი სამსხვერპლო ქვაც. ტაძარს დასაწყისში დასავლეთი მხრიდან თირის ქვებით მოკებული მისასვლელი ჰქონია, რომელიც ძვ. წ. II—I სს. მოზაიკური იატაკით შეუცვლიათ. მრგვალი ტაძარი ძვ. წ. I ს. შუა ხანებშია დანგრეული, მის ნანგრევებზე მიწა დაუყრიათ და შემდეგ სას-



წრფოდ აუგიათ გალაგნის კედელი, რომელიც აგრეთვე სულ მალე დანგრეულა (ძვ. წ. I ს. შუა ხანებში).

განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო გასულ წელს სამი ხელ-უხლებელი სამარხის აღმოჩენა, რომელთაგანაც ორი — ძვ. წ. IV ს. ეკუთვნის, ერთი კი — ძვ. წ. V საუკუნეს.

პირველი სამარხი, რომელსაც ჩვენ მეომრის სამარხს ვუწოდებთ, აღმოჩნდა უფრო გვიანდელი (ძვ. წ. II ს.) ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის ქვეშ. სამარხი ორმო (მისი ზომებია 4 მ×2 მ) ამოკვეთილია დედა ქანში, რომე-




მეომრის სამარხის საერთო ხედი (ძვ. წ. IV ს. შესაშვ მეოთხედი)

ლიც აქ თირის რბილ კლდეს წარმოადგენს. მიცვალებული შესაძლოა ხის სარკოფაგში იყო ჩასვენებული, მის არსებობას გვაგარაუდებინებს სამარხში ბლომად აღმოჩენილი რკინის ღურსმნები. სამარხი ზემოდან გადახურული ყოფილა მიწითა და ქვყარბით. მეომარი დაკრძალულია თავით ჩრდილოეთისაკენ ზურგზე მწოლარე. თავის ქალა გადაგორებული იყო მარჯვნივ, ჩონჩხიდან ოდნავ დაცილებით, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მიცვალებული სარეცელზე ესვენა და ამ უკანასკნელის ჩაქცევის შემდეგ მოხდა თავის გადაგორება. სამარხი სამი მხრიდან შემორავული იყო სხვადასხვა ზომის მასრიანი რკინის შუბისპირებით (მათი საერთო რაოდენობა 50 აღწევს), აქვე აღმოჩნდა, აგრეთვე რკინის მახვილა და სატყვარი. მეომრის ქვედა კიდურებს ფარავდა ბრინჯაოს ჯავშანი — საწვივე და საბარკული. მდიდრულია მეომრის სამკაულიც. თავსაბურავი, როგორც ჩანს,



შედგებოდა ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ცხენოსნისა და მასზე მირჩი-
ლული ორი ფრინველის ფიგურისაგან. ასეთი საგანი სულ 15 ცალია აღმოჩენილი
თავის ქალაზე. ყელზე შებმული ჰქონია ოქროს მთვარისებური საკიდები, რომ-
ლებიც გავარსითაა ღამაზად შემკული. მაჯებზე ეკეთა ოქროს, ბრინჯაოსი და
ვერცხლის სამაჯურები. წელის არეში აღმოჩნდა სალესი ქვა, რომელსაც ოქროს
უნწი ჰქონდა ქამარზე ჩამოსაკიდად. მემომარს ოქროს ცალი საყურე უტარებია
და ოთხი ბეჭედი — ორი ოქროსი და ორიც ვერცხლის. ოთხივე ბეჭედი ფარაკია-



ქალის მდიდრული სამარხი ძვ. წ. V ს.

ნია და ზედ გამოსახულეებებია ამოკვეთილი: ერთ ოქროს ბეჭედზე ცხენოსანი,
მეორეზე ღვთაება და ნეგატიურად ამოკვეთილი სახელია — დედატოსი — ბერ-
ძნული ასოებით. ერთ ვერცხლის ბეჭედზე — ორი ფრინველი, ხოლო მეორეზე —
ორი ცხოველის შერკინება. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა, აგრეთვე ფილიპე
მეორე მაკედონელის (ალექსანდრე მაკედონელის მამის) ოქროს მონეტა (ძვ. წ.

359—336 წ.წ.) ეს საქართველოში ამ მონეტის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. აქვე იყო ბრინჯაოს ლანგარი, ატიკური შავლაკიანი სასმისი, კოლხური თიხის ჯამი, წითელი საღებავით მოხატული მეტად მოხდენილი თიხის დოქი და ამფორა — მოზრდილი ძირფეწრო ორყურა კურტელი, რომელიც მოყვანილობის მიხედვით მიეკუთვნება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სოლოხა I ტიპის სახელით ცნობილ ამფორათა ჯგუფს.

მეომრის ფერხით დასვენებული იყო კიდევ ორი ჩონჩხი ქალისა და მამაკა-



იქროს სამაჭურის
დეტალი



თიხის ატიკური სანელსაცხებლე

ცისა. საფიქრებელია, რომ ისინი იყვანენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. (ისინი თითქმის ყოველგვარი სამკაულის გარეშე იყვნენ ძაღლის ჩონჩხზე დასვენებული). სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა კიდევ ხუთი ამფორა, რომელთაგანაც ორი — სოლოხა I ტიპისა იყო, ორი — კოლხური და ერთიც — ქალაქ სინოპეში დამზადებული. ამ უკანასკნელს ყურზე აქვს დამლა, რომელიც შეიცავს ემბლემას — დელფინზე დაფრენილ არწივს, ფაბრიკანტა პისტაიოსისა და ასტინოში კიროსის სახელს. ამ დამღის მიხედვით ამფორა კარ-

გად თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით. ამავე თარიღზე მიუთითებს ფილიპე მაკედონელის მონეტაცა და ატიკური შავლაკიანი სასმისიც.

რამდენადმე უფრო გვიანდელი უნდა იყოს იქვე ახლოს აღმოჩენილი მერცხე სამარხი, ბავშვის სამარხად მიჩნეული. ისიც თირშია ამოკვეთილი, სამარხი ორმოს ზომებია — $1,40 \times 0,80$ მ. სამარხში ნაპოვნია ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ოქროსა და ვერცხლის პატარა სამაჯურები, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდები, (მცი-



ბრინჯაოს ატიკური პატერა. ძვ. წ. 500—480 წწ.


რე ზომისა), პასტის მძივსაკიდები, კოლხური მონეტის სამი წერილი ნომინალა და თიხის რამდენიმე ტურქული: ლეგად გამომწვარი და გაპრიალებული ყელმალა კოლხური დოქი, ცალყურა ქოთნები, წითლადმოხატული დოქი (მეომრის სამარხში ნაპოვნის ანალოგიური) და მუცელგამობერილი პატარა სანელსაცხებლე.

განსაკუთრებით მდიდრული იყო მესამე სამარხი, რომელიც პირველი ორისაგან სამხრეთით აღმოჩნდა ორმოციოდე მეტრის დაშორებით. სამარხი ორმო, რომლის ზომებია $7 \text{ მ} \times 6 \text{ მ}$, აგრეთვე კლდოვან დედაქანშია ამოკვეთილი. აქაც რკინის ღურსმნების მწკრივი მიუთითებს ხის სარკოფაგის არსებობაზე. მის გარეთ აღ-



მოჩნდა საკმაოდ კარგად შენახული ცხენის ჩონჩხი, აგრეთვე რკინის ღვაჭაჭის ძლიერ დაქანგული ნაშთები. სამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხის ნაშთებიც აღმოჩნდა. მათგან ერთი ძალზე მდიდრულად დაკრძალული ქალისაა.

მიცვალეზულის თავთან, სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, ელაგა იმპორტული (ბერძნული) ბრინჯაოს ენობოია და პატერა, რომლის ტარი ჭაბუკის ტანს გამოსახავს. ეს ორივე ჭურჭელი საზეიმო შემთხვევაში ხელის დასაბანად არის განკუთვნილი. იქვე იყო თიხის ორყურა სანელსაცხებლე, ვერცხლის სფერული ჭურჭელი, რომლის ტანი შემკულია ენების ორნამენტით და ფანტასტურ არსებათა გრავერებულგამოსახულებიანი სარტყელით; კოლხური ბრინჯაოს მცირე ზომის სიტულის ფორმის ჭურჭელი, რომლის ძირი სვასტიკის, ხოლო სახურავი ცხოველთა გრავერებული გამოსახულებებითაა შემკული, აგრეთვე ბერძნუ-



შავადგაბრილებული კოლხური ჭურჭელი ძვ. წ. V ს.

ლი ვერცხლის სარწყულა, რომლის ყური ფრთოსანი ღომის, ხოლო მის ქვემოთ ორი ვერძის სკულპტურული გამოსახულებითაა მორთული; ატიკური ვერცხლის მაღალფეხიანი სასმისები (კილიკები) ორი ცალი, ფინიკიური მინის ორი თასი და ტალღოვანი ორნამენტით შემკული მოზრდილი, შავგაბრილა კოლხური ღოჭი.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხ კოლხურ თიხის ჯამსა და ერთ ატიკურ მაღალფეხიან შავლაკიან კილიკზე ელაგა საქონლისა და ფრინველის ძვლები — მიცვალეზულისათვის გატანებული საგზლის ნაშთი. ხოლო სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ეწყო დიდი ზომის ბრინჯაოს კოლხური სიტულები, ერთი მათგანის ძირზე სვასტიკაა გამოსახული.

ქალის სამკაული თითქმის მთლიანად ოქროსა და ვერცხლისაა. მიცვალეზულს თავს უმკობდა ოქროს დიადემა, რომლის გრებილი რკალი რომბისებური



ფირფიტებითა და შესაკრავი კაფებითა დაბოლოვებული. ამ ფირფიტებზე ამოტვიფრებულია ორ რიგად განლაგებული ცხოველთა ბრძოლის სცენები — ერთზე ლომები ჰფლეთენ ზურგზე განრთხმულ ხარს, ხოლო მეორეზე კი ასეთივე ლომები თავს ესხმიან წინა ფეხებზე წაჩოქილ ჯიხვს. თავის არეში აღმოჩნდა და თავსამკაულის ნაწილებს წარმოადგენს მსხლისებური მოყვანილობის ოქროს საკიდები. აქვე იყო ოქროს სხივანა სასაფეთქლეები, რომლის რგოლს ვარდულა ამკობს, ხოლო სხივებს კი ცვარათი შედგენილი პირამიდები და ჩიტის მინიატურული გამოსახულებანი და ე. წ. ჭვირულბურთულიანი ოქროს საყურეები.

მიცვალეზულს ჩატანებული ჰქონია ხუთი სხვადასხვაგვარი ყელსაბამი: ერთი მათგანი შედგება ოქროს კუს გამოსახულებებიანი საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან, მეორე — ჩიტის გამოსახულებებიანი საკიდებისა და წვრილი, ტანდალარული მძივებისაგან, მესამე — ვერძის თავის გამოსახულებებიანი საკიდებისა და წვრილი, ტანდალარული მძივებისაგან, მეოთხე — სიმინდის ტაროსებური საკიდებისა და წვრილი და საშუალო ზომის ტანდალარული მძივებისაგან, მეხუთე — დოლისებური საკიდებისა და მსხვილი ტანდალარული მძივებისაგან. დოლისებური საკიდები შემკულია ცვარათი გამოყვანილი სვასტიკებითა და სხვა გეომეტრიული სახეებით. შესაძლოა ამავე ყელსაბამს ეკუთვნოდნა მასთან ახლოა აღმოჩენილი ქარვის სწორკუთხა მძივები.

ურიცხვი რაოდენობით აღმოჩნდა სამარხში ვერცხლის მილაკები და მძივები, მათგან ზოგი ცვარათია შემკული.

მიცვალეზულის მაკებთან აღმოჩნდა ოქროს სამაჯურები, მათგან ერთი წყვილი ტახის გამოსახულებებით ბოლოვდება, ხოლო მეორე — ვერძის თავის გამოსახულებებით. სამაჯურებთან ერთად, როგორც ჩანს, მკლავებს ამკობდა ოქროსა და სარდიონის მძივები. იქვეა ნაპოვნი ოქროს ხუთი ბეჭედი, მათგან ერთი ფარაკიანია და საბეჭდავს წარმოადგენს, ოთხი კი — სპირალური ხვიებით არის შემკული. სარტყლის მოსართავს უნდა წარმოადგენდეს არწივის ორი ოქროს გამოსახულება, რომელთაც უთუოდ ჰერალდიკური მნიშვნელობა ჰქონდათ.

მიცვალეზულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებითა და მილაკზე ასხმული სამკუთხა ორნამენტირებული ფირფიტებით იყო გაწყობილი.

სამარხში აღმოჩენილი ეს მრავალრიცხოვანი ოქროს სამკაული ხასიათდება მკაცრი სტილისტური ერთიანობით, ამასთან მხოლოდ საქართველოსათვის ჩვეული ფორმები (რომბულ ფირფიტებიანი დიადემა, სხივანა სასაფეთქლეები, ჭვირულბურთულიანი საყურეები და სხვ.) და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით გენეტური კავშირი უფრო ადრე ვანშივე ნაპოვნ შედარებით გვიანდელ სამკაულებთან, სრულიად უცილობელს ხდის მათ ადგილობრივ წარმოშობას.

მიცვალეზულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით სამარხის ორმოს ძირის დონეზე აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი, რომელთაგანაც ამჟამად ყველა აღდგენილია. მათ შორისაა დიდი ზომის ორყურა ბრტყელძირიანი, წნეხვით გამოყვანილი პრიალა ზოლებით შემკული ორი ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის ნატიფი, ბიკონუსური ფორმის ცალყურა და უყურო შავპრიალა ჭურჭელი, ყურმილიანი დოქი და სხვა. ზოგიერთი მათგანის სახით პირველად გვეცნობით



ძვ. წ. V საუკუნის კოლხური ჭურჭლის ფორმებს, რადგანაც აქამდის არქეოლოგ-
გიურ მასალაში ისინი მხოლოდ მცირე ზომის ნატეხებით იყვნენ წარმოდგენილი.


აქ აღმოჩენილი მრავალფეროვანი ინვენტარით სამარხი მეტად საიმედოდ
თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით, ხოლო ამ ინვენტარის თვი-
თეული ნივთი, როგორც უცხოეთიდან შემოტანილი, ისე ადგილობრივ დამზადე-
ბული იმდენად დახვეწილი და მაღალმხატვრულია, რომ ნათლად მეტყველებს
დაკრძალული ქალის წარჩინებულობასა და მაღალ კულტურულ დონეზე საზოგა-
დობრივი ფენისა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა გრძელდება და ეჭვ
არ არის, რომ მისი მონაპოვარი კიდევ არაერთ ძვირფას ცნობას შესძენს საქარ-
თველოს შორეულ წარსულს.



სამადლოში მოაოვეზული მოხატული ჰურხველი

წალკის რაიონში 1947 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების განხილვისას, ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფ. ბ. კუჭუტინმა განსაკუთრებით გამოჰყო ანტიკური ხანის ორი წითლად მოხატული ხელადა, რომელთა მსგავსი მას სხვაგან საქართველოში არსად არაფერი ეგულებოდა, და რომლებმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოსდა შემოინახეს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურის მოხატული კერამიკის ტრადიციები.



სურ. 1.

შემდგომში წალკური ჭურჭლების ანალოგიური ხელადები და მათი ნატიხები სხვაგანაც აღმოჩნდა: თბილისში, ურბნისში, უფლისციხეში, ითხვისში... და მინც მიუხედავად ამისა, მოხატული კერამიკა კიდევ დიდ ხანს ითვლებოდა უჩვეულო, შემთხვევით მოვლენად ანტიკური ხანის საქართველოსათვის. მკვლევარებს საამისო საბუთები ჰქონდათ კიდევ. ანტიკური ხანის სამაროვნები, რომლებიც საკმაო რაოდენობით გაითხარა საქართველოს ტერიტორიაზე, მასობრივად იძლეოდა სადა, უსახო თიხის ჭურჭელს, რომლის ფონზე წალკაში აღმოჩენილი ხელადები მართლაც უცხოვად გამოიყურებოდა.

სპეციალურ ლიტერატურაში მომწიფდა აზრი, თითქოს ანტიკური ხანის



საქართველოში საერთოდ დაეცა მხატვრული კერამიკის წარმოება, რასაც უწყობდა სათანადო ახსნაც კი გამოუძებნა. მაგრამ უახლესმა აღმოჩენებმა ცხადყოფს აზრის უსაფუძვლოება. ირკვევა, რომ მხატვრული ჭურჭელი, მათ შორის მოხატულიც, შემთხვევითი და იშვიათი სრულებითაც არა ყოფილა ანტიკური ხანის საქართველოში. კიდევ მეტი, ამ ხანის ერთ-ერთ მონაკვეთში, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—I საუკუნეებში, ე. წ. ელინისტურ ხანაში, თიხის მხატვრული ჭურჭლის წარმოება საქართველოში ისეთ მაღალ დონეს აღწევს, რომ ამ პერიოდს ტემპარიტად შეიძლება ეწოდოს „მოხატული კერამიკის ხანა“.

ელინისტური ხანის მეტად საყურადღებო არქეოლოგიური მასალა მოგვცა სამადლოს ნამოსახლარმა, რომელზედაც მიხუთე წელია გათხრებს აწარმოება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციამ.


სამადლოს ნამოსახლარი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირას რკინიგზის სადგურ ქსნის პირდაპირ, იქ სადაც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოება და სარკინეთის ქედი ვიწრობება ქსნის. სამადლო დასავლეთიდან ჰეკტავს სარკინეთ-ძეგვის ნაყოფიერ ქვაბულს, ხოლო მის დასავლეთით ნიჩბისის ფართო ველია გაშლილი. ოდესღაც აქ, მტკვრის გასწვრივ გზა გადიოდა: სამადლოს პატარა ხევზე დღემდე შემორჩა შუასაუკუნეების თაღიანი ხიდი. როგორც ჩანს, ამ გზას სწორედ სამადლოსთან კვეთდა მერიდიანული მიმართულების ხეივანი გზა, რომელაც ქსნის ხეობასა და მუხრან-ნასტავისის ველებს ნიშნურობს მევით თრიალეთთან აკავშირებდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV—II საუკუნეებში სამადლოს გორაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი გამაგრებული სამოსახლო მდგარა. სამწუხაროდ, დღეს ნამოსახლარის მხოლოდ მკერეთდენი ნაწილი-ღა გადარჩა: ორმოცდაათ წელზე მეტი ხანია, რაც სამადლოს გორაზე თიხას იღებენ ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნისათვის.

სამადლოს ნამოსახლარზე არქეოლოგიური გათხრებიც არსებითად იმისთვის დაიწყო, რომ ეს მცირეთდენი ნაწილი მაინც გადარჩენილიყო მეცნიერებისა და შთამომავლობისათვის. ნამოსახლარი ისე უწყალოდ განადგურებული ჩანდა, რომ განსაკუთრებული აღმოჩენების იმედი არავის ჰქონდა, თუმცა აქედან მუზეუმში ადრევე იყო შენოსული ქაღის მდიდრული სამარხის ინვენტარი, რომელიც მართო ხუთასზე მეტ ოქროს ნივთს შეიცავს.

საბედნიეროდ, პროგნოზები არ გამართლდა: საველე მუშაობის პირველვე სეზონმა ცხადყო, მიუხედავად დაზიანებისა, სამადლოს სახით მეტად მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლთან გვაქვს საქმე. სამადლოს გათხრებმა მთელი თავისი მრავალმხრივობით წარმოგვიჩინა ელინისტური ხანის ქართლის ცხოვრება. მართო ის რად ღირს, რომ სამადლოზე ითხრება აღმოსავლეთ საქართველოში უძველესი კრამიტით დახურული შენობები. სამადლოზე აღმოჩენილი სამარხეული მასალები ავსებს ახალგორის ტიპის ადრეანტიკური ხანის ძეგლებსა და არმაზისხევის სამარხთა შორის არსებულ ლაკუნას. მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რაც სამადლომ მოგვცა, ესაა კერამიკა — სხვადასხვა დანიშნულების, მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი — დაწყებული შედარებით უხეში სამზადი ქოთნებითა და გათავებული ვირტუოზულად დამუშავებული სარიტუალო ჭურჭლით და ტექნიკურად უზადო თხელკედლიანი საღვინე ქვევრებით. უმთავრესი კი მაინც მოხატული კერამიკაა, რომ



მელიც სამადლოზე, მართლაც, რომ გულუხვადაა წარმოდგენილი. თანაც მარტო
 ვა, რომ მოხატული კერამიკა ძალიან ფეხმოკიდებული ყოფილა ყოფაშია. მარტო
 გორც საზოგადოების ზედა ფენებში, ისე შედარებით ღარიბთა შორისაც, და
 ახლა, როცა მარტო სამადლოს გარშემო, 10—12 კილომეტრის რადიუსში მიკ-
 ვლუელია ამავე ხანის სულ ცოტა სამი ძეგლი მაინც, რომლებზედაც ასევე
 უხვად ჩანს მოხატული კერამიკა. გაბედულად შეიძლება ვიწინასწარმეტყუელოთ,




სურ. 2.

რომ საქართველოში ყველგან, სადაც კი გაითხრება ელინისტური, განსაკუთრე-
 ბით კი ადრეელინისტური ხანის ძეგლი, მოსალოდნელია მოხატული კერამიკის
 აღმოჩენაც.

საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში — ირანის ზეგანზე და ანა-
 ტოლიაში მოხატული კერამიკის წარმოების უწყვეტი ტრადიცია უძველესი დრო-
 იდან ცოცხლობდა, მაგრამ ასე არაა საქართველოში, სადაც შუაბრინჯაოს ხანის



თრიალეთის ყორღანული კულტურის დასრულებასთან ერთად პირწმინდად ვაქცია რა მოხატული თიხის ქურჭელიც. გვიანბრინჯაოსი და ადრერკინის ხანაში მოხატული თველოში შავი და რუხი კერამიკის განუყოფელი ბატონობის ხანაა და სრულიად არ იცნობს მოხატულ კერამიკას: ძვ. წ. XV საუკუნიდან მოკიდებული V საუკუნემდე — მთელი ათასწლეულის მანძილზე აქ, როგორც ჩანს, სრულებით არ უწარმოებიათ იგი. და ამის შემდეგ, მართლაც მოულოდნელია მოხატული კერამიკის ის უცარი მოზღვაება, რაც დაიწყო ძვ. წ. IV—III საუკუნეებში. ძალაუნებურად იზადება კითხვა, ხომ არ შეიძლება დაუკავშირდეს ეს მოვლენა სამხრე-



სურ. 3.

თულ გავლენებს, მით უმეტეს, რომ სწორედ ელინისტურ ხანაში მოხატული კერამიკის წარმოება საყოველთაო აღმავლობას განიცდის მთელ წინააზიაში. ასეთივე ვითარება დასტურდება საქართველოს უშუალო მეზობლებთანაც — სომხეთსა და ალბანეთში.

ძველი საქართველო მრავალი ძაფით მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ დანარჩენ კულტურულ სამყაროსთან და ამდენად იგი ვერაფრით ვერ დარჩებოდა განზე ისეთი მოვლენებიდან, რომელთაც მართლაც საერთაშორისო ხასიათი ჰქონდათ. მაგრამ თუ დაბეჯითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ წითლად გამომწვარი კერამიკის სამხრეთული პროტოტიპების შესახებ, რაც ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს შემოდის საქართველოში და თანდათანობით ენაცვლება ადრერკინის ხანის ადგილობრივ რუხ კერამიკას, ჯერჯერობით ასე იოლად ვერ გადაწყდება

ელინისტური ხანის ქართული ქურჭლის გენეზისის საკითხი. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნულ წითლადგამომწვარ კერამიკასთან ერთად საქართველოში ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდანვე ვრცელდება თიხის ქურჭლის წერნაქით — წითელი ანგობით დაფარვის წესი, ხოლო წერნაქით შეღებვიდან ქურჭლის მოხატვაზე გადასვლა თითქოსდა შეუძლებელი არ უნდა ჩანდეს. ყოველ შემთხვევაში, ელინისტური ხანის ქართულ მოხატულ კერამიკას, მიუხედავად მოხატულობის სახეებისა და მოტივების ერთგვარი მსგავსებისა, ბევრი სხვადასხვა კუთხის თანადროული კერამიკის მოხატულობასთან, ისეთი თავისებური ნიშნები გააჩნია, რომ ჯერჯერობით ძნელია პირდაპირი სესხებისა და მითუმეტეს, იმპორტის შესახებ საუბარი. მაგრამ ერთი რამ დღესაც შეიძლება ითქვას: თუ ელინისტური ხანის საქართველოში მოხატული კერამიკის წარმოების აღმავლობა რაიმე გარეშე გავლენისაგანა და მოკიდებული. ეს გავლენა ყველაზე მეტად შეიძლება იყოს აღმოსავლეთ-ანატოლიური, კერძოდ ფრიგიული. თუ რაიმეს ჰგავს ელინისტური ხანის ქართული მოხატული კერამიკა, უპირველეს ყოვლისა, ისევე ფრიგიულს, განსაკუთრებით კი მის ბოლო ვარიანტს, ე. წ. გვიანფრიგიული სტილის კერამიკას, რომლის უგვიანესი ნიმუშები (სინოპში აღმოჩენილი), ცნობილი თურქი არქეოლოგის ე. აკურგალის თანახმად, ელინისტური ხანით თარიღდება. ელინისტური ხანის საქართველოში გავრცელებული შავპირილა კერამიკისა და თიხის ფიგურული ქურჭლის ფრიგიულ კერამიკასთან მსგავსების შესახებ საუბრის შესაძლებლობა ჩვენ ადრევე გვქონდა. საერთოდ კი საქართველო — მყირე აზიის მკვიდრო ურთ. ერთკავშირი საყოველთაოდ ცნობილია.

ანტიკური ხანის ქართული მოხატული კერამიკის უმთავრესი თავისებურება — და ეს ნათლად ჩანს სამადალოს მასალებშიც — მისი მონოქრომულობა: მოხატულობა, როგორც წესი, შესრულებულია ღიაფერის, მოყვითალო ან მოწითალო ფონზე. უმეტესად, წითელი ან მოყვავისფრო საღებავით. მოხატულობა განლაგებულია ფრიზებად და უმეტეს წილად ამკობს ქურჭლის ზედა ნაწილს, თუმცა მთლიანად მოხატული ქურჭლებიც გვხვდება. აშკარად ჭარბობს გეომეტრიული მოტივები — წერტილები, ზოლები, ზიგზაგები, შვერონები, შვესებულო სამკუთხედების სისტემები, რომები და ე. წ. თევზიფხური სახეები, იშვიათია. მაგრამ მაინც გვხვდება, ვოლუტები. მოხატულობით ამკობდნენ მრავალგვარ ქურჭელს — ჯამებს, ხელაძებს, დოქებს, დერგებს, ქვევრებს და ა. შ. თანაც თითოეული სახის ქურჭლის მოხატულობა თავისებურ ხასიათს ატარებს.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მოხატული ქურჭლის ერთი ჯგუფი, რომელზედაც გეომეტრიული სახეების გვერდით სიუფეტური მოხატულობაც გვხვდება. ეს უმეტესად დიდი და ძალიან დიდი ზომის პირგაშლილი, ძირბრტყელი ორყურა ქურჭლებია, რომელთა სიმაღლე 0,80 მ, ხოლო პირის დიამეტრი 1,5 მ აღწევს. ფორმით ისინი მოგვაგონებენ ძველბერძნულ ე. წ. ზარისებურ კრატერებს და უფრო კი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დაღასტურებულ ისარნას, რომელშიც საწინახლიდან გამომდინარე ტკბილს აგროვებენ ხოლმე. სამადალოზე აღმოჩენილი ისარნისებური ქურჭელიც აშკარად ღვინოსთან არის დაკავშირებული: ორი მათგანი აღმოჩნდა ერთ სათავსოში ოთხ თუ ხუთ საღვინე ქვევრთან ერთად. სამადალოზე აღმოჩნდა ფრაგმენტები ათამდე ამგვარი ქურჭლისა. ასეთივე ქურჭლის ნატყები ნაპოვნია საქართველოს სხვა პუნქტებშიც, ისე რომ, იგი მარტო სამადალოს თავისებურებად ვერ ჩაითვლება.

ერთ-ერთ სამადლოურ „ისარნაზე“, რომლის ნახევარზე მეტის აღდგენა მოხერხდა, გამოხატულია ფერხულში ჩაბმული მოცეკვავე მამაკაცების ფიგურები. ფიგურების სიმაღლე 0,25 მ-ია. ნახატში გაწაფული ოსტატის ხელი იგრძნობა. მას გაბედული შტრიხებით, ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე, განზოგადობული, მაგრამ სიცოცხლით და მოძრაობით საესე სილუეტები გამოუსახავს. ასეთივე მანერითაა შესრულებული და არანაკლებ შთაბეჭედავია მოხატულობა მეორე ჭურჭელზეც, რომლისაგანაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემოგვრჩა. მასზე გამოსახული ყოფილა მხედრებისა და ქვეითთა ბრძოლის სცენა. ერთ ფრაგმენტზე შემორჩა ცხენოსანი, რომელიც შუბს სტყორცნის მოწინააღმდეგე მხედარს, მეორე ფრაგმენტზე — ცხენის ფლოტებს ქვეშ დაცემული დისკოთი შეიარაღებული მეზრძოლი და ა. შ.

ასეთი კომპოზიციების განხილვისას თავისთავად იზადება სურვილი გაიხსნას მათი შინაარსი.

პირველი კომპოზიციის ახსნა შედარებით იოლია. ფერხულის სცენას უამრავი ანალოგიები ეძებნება თითქმის ყველა ქვეყანაში და ყველა დროში და ყველგან, სადაც კი ეს გამოსახულება გვხვდება. მას ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ. შორეულ ანალოგიებს რომ არ გამოვედევნოთ, საკმარისია გავიხსენოთ ქართველი მთიელების საწესო ფერხული — „ფერხისაი“ ან „ქორ-ბეღელა“, რომელიც სრულდებოდა ხატობას, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული მეტისმეტად არქაული სასიძღვროს თანხლებით (პროფ. ვ. ბარდაველიძე). სამადლოური „ისარნაც“ ფერხულის გამოსახულებით დაკავშირებულია ვაზთან, ყურძენთან, ღვინოსთან — რომლებიც იმ დროსაც ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტები იყვნენ. ამგვარი ახსნის სასარგებლოდ ლაპარაკობს საღვინე ჭურჭლის სიუხვე სამადლოზე და, განსაკუთრებით კი, ომფალოსიანი ფიალების აღმოჩენა, რომლებიც ანტიკურ სამყაროში სწორედ ღვინის საწესო სმის დროს გამოიყენებოდნენ.

გაცილებით უფრო რთულია მეორე — ბრძოლის სცენის განმარტება. ამგვარი მრავალფეროვანი კომპოზიციების აღმოჩენა, ჩვეულებრივ, უნდა მიუთითებდეს რაღაც მითოლოგიურ სიუჟეტზე. ჯერჯერობით, ქართული მითოლოგიის შესწავლის დღევანდელ დონეზე, მხოლოდ ამ განმარტებით უნდა დაეკმაყოფილდეთ და დაველოდოთ ჭურჭლის დანარჩენი ნატეხების აღმოჩენას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თავისებური ჯგუფი მოხატული ჭურჭლისა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩნდა სამადლოზე, თუმცა მკვეთრად განსხვავდება თავისი იერით სამადლოს დანარჩენი კერამიკისაგან. ესაა თითქმის ერთნაირი თხელკედლიანი დოქები და დერგები, დამზადებული ღია მოყვითალო ფერის კარგად გამომწვარი თიხისაგან და მოხატული თეთრი ანგობის პარალელური ზოლებით. ამგვარი ჭურჭლის ფრაგმენტები ურზნისშიც აღმოჩნდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია კახეთისათვის, სადაც სწორედ ეს კერამიკაა წამყვანი ელინისტურ ხანაში, როგორც ჩანს, ალაზან-იალოღღუ-თაფას ტიპის კერამიკის გავრცელებამდე. თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი სამადლოზე აშკარად მოტანილი უნდა იყოს კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრიდან.

ამგვამად თეთრი ანგობით მოხატულ თიხის ჭურჭელს ამზადებენ ბალხარელები დალისტანში.

ბურამ მირცხულავა

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი

სამშვილდის სამაროვანი

ქვემო ქართლი, ისტორიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო მხარეა და მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. მათი შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდება უფრო ზუსტად გაცეს პასუხი ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორც არას არქეოლოგიური კულტურების წარმოშობა და ურთიერთობა — უძველესი პერიოდიდან მოკიდებული. თეთრიწყაროს, კიკეთის, თამარისის, გომარეთისა და სხვა მრავალი იმ ხანის ძეგლები, რომლებიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეულ



სამარხი ნ. პრეპარაციის შემდეგ


ეტაპს წარმოგვიდგენენ, გვიჩვენებენ, რომ ლითონის ათვისების ხანის საწყის საფეხურზე ქვემო ქართლის ტერიტორია დასახლებული ყოფილა მაღალ განვითარებული კულტურის მქონე მიწათმოქმედი-მესაქონლე ტომებით ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV—III ათასწლეულში, რომ არაფერი ვთქვათ ნეოლით-ენეოლითური პერიოდის მნიშვნელოვან ძეგლებზე, რომელთაც ქვემო ქართლში წარსატებით სწავლობენ მკვლევარები.

ადრე ბრინჯაოს პერიოდის ახალი ძეგლი — სამშვილდის სამაროვანი, მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში, თეთრიწყაროდან 5 კმ დაშორებით, სოფელ სამშვილდესთან, რომლის შესწავლა 1968 წ. ივნისში დაიწყო ივ. ჯავახიშვილის



სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამშვილდის რაზმმა. სამაროვანი ფურდობზეა გადაშლილი, რომელიც გადარეცხვას განიცდის, რის გამოც სამარხთა მიწის ყრილის სიმაღლე 10—30 სმ არ აღემატება. ფურდობი მთავრდება პატარა მშრალი ხევით, რომელიც თავის მხრივ მარცხენა მხრიდან ხრამის ხეობას უერთდება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად კოლმეურნეობა ამუშავებს, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთი (ა) სამარხი.




სამარხი 6. პრეპარაციის შემდეგ

საიდანაც მუშებმა ამოიღეს რამდენიმე თიხის ჭურჭელი და თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩააბარეს.

ამ აღმოჩენის საფუძველზე მიღებული ცნობის გამო ჩატარებული იქნა არქეოლოგიური დაზვერვები და გაირკვა, რომ საქმე გვაქვს ვრცელ სამაროვანთან. დაახლოებით 1 კმ ფართობზე გათხრილი და შესწავლილი იქნა 41 სამარხი. აქედან 36 ადრეული ლითონის ხანისაა, ხოლო 5 ფეოდალური პერიოდისა უნდა იყოს. გვიანდელი სამარხები შეკრულია ქვის გათლილი ლოდებით და თითოეულში 2—3 მიცვალებულია დაკრძალული. დამხრობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. გამონაკლისს შეადგენს № 37 სამარხი, სადაც მიცვალებული იწვა თავით აღმოსავლეთისაკენ და თითქოს მარჯვენა გვერდზე ჩანდა დასვენებული, ხელებმოკეცილი, ხოლო ქვედა კიდურების ძვლები არეული იყო და მათ პირვანდელ მდებარეობაზე არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს სამარხები არსებითად უინვენტა-

როა. მხოლოდ № 29 სამარხში, მიცვალბულს კისრის არეში ჰქონდა პეტროგლიფები მართკუთხა რკინის ფირფიტა, რომელზედაც თითქოს წარწერა შეინიშნება.

სამაროვნის აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვრები შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთის მიმართულებით კვლავ მოსალოდნელია სამარხთა გავრცელება. სამაროვანი განფენილია სივრცითად-სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მცირე



სამარხი 6. ცხოველის გამოსახულებიანი ზალა

გადახრით) და შეიმჩნევა სამარხთა განლაგების 4 მწკრივი. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული.

ადრეული პერიოდის სამარხები — დიდი ზომის ბრტყელი, დაუმუშავებელალოდებით ნაგებ აკლდამებს წარმოადგენენ და ასეთივე ლოდებით არიან გადახურული. სამარხის აგებისას ნახშირია აგრეთვე შედარებით მცირე ზომის ქვები,

და სხვა მსგავსი ნივთები უსაფრთხოდ ინახება მათში.



რომლებიც გამოუყენებიათ სამარხის კედლების გასამაგრებლად გარეგანმხრებთან და აგრეთვე სამარხის კედლების ზედა ნაწილის ერთ სიბრტყეზე გასასწორებლად, რათა სახურავი უკეთ ყოფილიყო მორგებული. თავისი აგებულებით სამშვილდის სამარხები ახლო დგანან როგორც საქართველოში აღმოჩენილ ამავე პერიოდის ძეგლებთან (კიკეთი, ამირანის გორა, თამარისი, არდასუბანი და სხვ.) აგრეთვე სომხეთის (ელარიარიჩი) აზერბაიჯანის (კობისტანი, აშერონის ნი-), ჩრდილო კავკასიის (გაგატლი, მუჯი, ხოროჩიო) სამარხებთან, თუმცა მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან მათგან.

სამშვილდის სამარხები დამხრობილია (ზოგ შემთხვევაში მცირე გადახრით) აღმოსავლეთიდან დასავლეთით ან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. პირველ შემთხვევაში აკლდამის აღმოსავლეთი, ხოლო მეორე შემთხვევაში სამხრეთი კედლები შევიწროებულია ისეთნაირად, რომ იქმნება თავისებური შესასვლელი. შესასვლელი ჩაკეტილია ქვის „კარით“, რომელიც ზღურბლის ქვაზე ძვეს. „კარი“ გარეთა მხრიდან გამაგრებულია, რამოდენიმე მომცრო ზომის ქვით. შესასვლელის ზომები თითქმის ერთნაირია და დაახლოებით 0,55×0,55 მ უდრის.

№ 6 № 16 სამარხში აღმოჩნდა აკლდამაში ჩასასვლელი კოხტად ნაგები ქვის კიბეები.

აკლდამის შიდა ფართი დაახლოებით 2×1 მ-ია, სიმაღლე კი საშუალოდ 0,8×1 მ. გამონაკლისს წარმოადგენს № 31 სამარხი, რომლის სიგრძე — 3,1 მეტრია, ხოლო სიღრმე — 0,5 მ.

სამარხები ინდივიდუალურიცაა და კოლექტიურიც. დაკრძალულია 1-დან 9-მდე მიცვალებული. საფიქრებელია, რომ ისინი საოჯახო აკლდამებს წარმოადგენენ. როგორც წესი, სამარხის ცენტრალურ ნაწილში, უფრო შესასვლელისაკენ ხელფეხმოკვეცილ მდგომარეობაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით შესასვლელისაკენ წევს თითო მიცვალებული, ხოლო კოლექტიურ სამარხებში მათ ფერხითი მიხვეტილია ადრე დასაფლავებულთა ჩონჩხის ძვლები და სამარხეული ინვენტარი. გამონაკლისს წარმოადგენს № 6 და № 7 სამარხები, სადაც შესაბამისად 2 და 3 მიცვალებული იყო დასვენებული სამარხის ცენტრალურ ნაწილში და ერთდროულად დაკრძალულთა შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

№ 3, № 8 და № 10 სამარხთა იატაკი ქვით იყო მოკეპული, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მიცვალებულები პირდაპირ გრუნტზე არიან დაკრძალული.

ზემოთ აღწერილი ადრეული ხანის ძეგლებიდან გამოირჩევა № 8 და № 12 სამარხები. ისინი 18 დიამეტრის მქონე მრგვალი ნაგებობებია, რომლებიც მიცვალებულის ჩონჩხის ძვლების მიხედვით ბავშვთა დასაკრძალავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.


სამშვილდის სამაროვანზე მოპოვებული სამარხეული ინვენტარი ძირითადად შედგება ზომისა და დანიშნულების მიხედვით ნაირგვარი თიხის ჭურჭლისაგან. უმთავრესად მორუხო-მოყავისფრო ფერისაა და ემჩნევა ღია და შავი ფერის ლექები, რაც არათანაბრად გამოწვაზე მიუთითებს. სხვადასხვა ზომის ბადიები, ტოლჩები, თუნგულები და ქოთნები შემკულია რელიეფური დახრილი ზოლებით, კოპებით, სახელურისებური შვერილებით, ამოკაწრული ტეხილი ხაზებითა და პატარა ფოსოებით.

კერამიკა გარდა იმისა, რომ შედგება „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი წამყვანი ფორმებისაგან, ფაქტურით ძალზე უახლოვდება განსაკუთრებით ქვემო ქართლის ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლების კერამიკას და ეს

მსგავსება თითქოს საშუალებას გვაძლევს განვითარების ამ ეტაპზე ქვემოთ
თლში კულტურის ლოკალური ხასიათი გამოვყოთ.

მოპოვებულ კერამიკულ მასალაში ცალკე უკუფად შეიძლება გამოვყოთ
შავბრიალა ჭურჭლები, რომლებსაც ზოგ შემთხვევაში სარჩული წითლად აქვს
შეღებილი. გამოიყოფა აკურისფერი კერამიკაც. ამ უკანასკნელს მართალია
არათანაბარი გამოწვის შედეგად ალაგ-ალაგ შავი ლაქები აქვს, მაგრამ თავის
დროზე ეს ლაქები ჭურ-
ჭელზე არ აჩნდა, ვინაიდან
თითქმის ყველა მათგანი ორ-
მხრივ წითელი საღებავითაა
შეღებილი.

ძალზე საინტერესოა თი-
ხის ჭურჭლები, რომლებზე-
დაც ორ შემთხვევაში სტი-
ლიზებულია გამოსახულ ა
ცხოველი, ხოლო ერთ შემ-
თხვევაში ფრინველი — წყ-
რო. გამოსახულებები შეს-
რულებულია დაბალ რელი-
ეფში. ძალზედ ხშირია აგრე-
თვე ნახევარმთვარისებური
რელიეფური ორნამენტი. აღ-



სამარხი 6. ფრინველის გამოსახულებიანი ბაღია

სანიშნავია № 6 და № 40 სამარხებში აღმოჩენილი ტოლჩისებური ჭურჭლები,
რომლებსაც ფსკერზე ობსიდიანის „სარკმელი“ აქვს დატანებული. მსგავსი შემ-
კულობა საქართველოში ჩვენთვის ცნობილია სინქრონულ ძეგლებზე ილტოდან
(კახეთი) და უფრო მოგვიანო პერიოდის „სარკმლიანი ჭურჭელი“ — დმანისის
ნეკროპოლიდან. კერამიკის ეს სახე სხვადასხვა პერიოდებში და სხვადასხვა ვა-
რიაციებით გავრცელებულია როგორც საქართველოში, ასევე ევროპისა და აზიის
მრავალ ქვეყანაში და საკულტო დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს.

აღსანიშნავია რომ ერთ-
ერთ სამარხში აღმოჩნდა აგ-
რეთვე რბილკეციანი ღია ფე-
რის ჭურჭლის მცირე ნატე-
ხები. მსგავსი კერამიკა აღ-
მოჩენილია თეთრიწყაროს
ენეოლიტიურ ნასოფლარზე
და თავისი წარმოშობით უფ-
რო ადრეული პერიოდის
კულტურებს უკავშირდება.

ლითონის ნივთები სამა-
როვანზე მცირეა. არის მხო-




ლოდ 5 ნივთი: 2 ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, 2 ზამბარისებური
ხვია და ერთი ბრინჯაოს ორმხრივ თავებდახვეული ქინძისთავი, რომელ-



საც ცალ მხარეს ხვია აკლია. გადატეხის ადგილი საგანგებოდ შეღებული და ეტყობა შემდგომაც იყო ნივთი ხმარებაში. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ქინძისთავი თავიდანვე იყო ცალხვიანი, ვინაიდან არიჩის ნამოსახლარზე მოპოვებულ მსგავს ქინძისთავსაც ერთი ხვია აქვს და ამასთანავე ზედა ნაწილში — განტოტების ადგილი ამ უკანასკნელს ასიმეტრიული აქვს, რაც უნდა გამოირიცხავდეს მეორე თავხვიის არსებობას.

ქვის მასალა წარმოდგენილია მცოცავი რეტეშით დამუშავებული ობსიდა-



პასტისა და ძვლის მძივება

ნისა და კაყის ყუნწიანი ისრისწვერებითა და ქვის კვირისტავით. განსაკუთრებით აღსანიშნავია რტეშის შედარებით დიდი ზომის ისრისწვერი, რომელსაც ყუნწი თევზის ბოლოსებურად აქვს გამოყვანილი. ისრისწვერის ეს ფორმა საკმაოდ არქაულია. მრავლად არის მოპოვებული თეთრი პასტის ცილინდრული მძივები, ხოლო № 9 სამარხში აღმოჩნდა შედარებით მოზრდილი ძვლის მძივები.

სამარხებში საქონლის ძვლები მრავლად არ არის. რამოდენიმე აკლდამაში აღმოჩნდა ცხვრის ქვედა ყბა, კბილები და კოჭი. მე-10 სამარხში, რომელიც თითქმის დაუზიანებელი იყო, სახურავ ღოდზე განივად დაწყობილი იყო ძროხის 2 თავის ქალა და 3 წყვილი წინა ფეხების ძვლები. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს განვითარებული რელიგიის იმ ფორმებთან, რომელიც თავის მსახურებში შეწირულებას მოითხოვს. დაახლოებით მსგავსი სურათია დამოწმებული კიკეთში, თრიალეთში, სადაც სამარხის ქვაყრილებში ხარის რქები იყო ჩატანებული.

მთლიანად სამაროვნის კერამიკა ხელით არის ნაძერწი და გაპრიალებულია. თიხაში ურევია ქვიშა და კვარცი. შედარებით დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა



შეადგა გაპრიალებული თიხის ქურქელი, თუმცა თავისთავად, რასაკვირველია, ვერ გაუტოლდება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განვითარებული ეტაპის შეგპრიალა, ვარდისფერ სარჩულიან კერამიკას.

სამშვილდის სამაროვნის კერამიკის ორნამენტაციაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოყენებულია რელიეფური დახრილი ხაზები, როგორც წვევილად, ასევე სხივურად განლაგებული, ამოკაწრული ორმაგი ტეხილი ხაზები, რომელთა მიხედვით ხშირია პატარა ფოსოები, პატარა ზომის ცრუ ყურები, შგერილები, ძუძუსებური კოპები. აღსანიშნავია, რომ არც ერთ ქურქელზე არ გვაქვს სპირალური ორნამენტი, რომელიც ასე დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, მისი განვითარების მეორე ეტაპზე.

ფრინველის გამოსახულებიანი ორნამენტი ძალზე გავრცელებული მოტივია ადრებრინჯაოს კულტურისათვის. უძველეს ხალხებში ფრინველი მზის სიმბოლოდ იყო ცნობილი. ამასთანავე, თუ გავიხსენებთ, რომ სამშვილდის თიხის ქურქელზე არის ნახევარმთვარისებური რელიეფური ორნამენტაცია, ხოლო ფრინველის გამოსახულებიან ბადიაზე კომპოზიციაში მოყმულია ეს ორი კომპონენტი ერთად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ციური სხეულების კულტთან, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელ ქურქელს შიგნიდან ფსკერზე ობსიდიანი აქვს ჩასმული შუაში, არა გამჭოლად. ეს შემკულობაც მზის კულტთან არის დაკავშირებული.

სამარხთა ტიპისა და მონაპოვარი მასალის წინასწარი ანალიზის შედეგად სამშვილდოს სამაროვანი, გარდა ზემოთ აღნიშნული ძეგლებისა, უკავშირდება სტრატოგრაფიულად კარგად შესწავლილ ისეთ ძეგლებს, როგორც არის ნახიჭევანის ქიულ-თეფე (II ფენა), გეოი-თეფე (K₁) და სხვა. ეს დაკავშირება საშუალებას გვაძლევს სამშვილდის სამაროვანი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს მივაკუთვნოთ.

ამირან კახიძე

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ფიჭვნარის იმპორტული ძეგლები

ძველი კოლხეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისათვის მეტად მდიდარ და მრავალფეროვან მასალებს იძლევა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ვაზბრები.

ფიჭვნარი მდებარეობს ქობულეთის ჩრდილოეთით, საქალაქო ცენტრიდან დაახლოებით 10 კმ-ზე. მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან.




ძვ. წ. V—IV სს. ამფორისკები (ფიჭვნარი)

საქართველოს ზღვისპირეთის სხვა თანადროულ ძეგლებთან შედარებით ფიჭვნარში უკეთაა შემონახული წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები, სახელოსნო უბნები და საკულტო ადგილები; მიკვლეულია ნაქალაქართან უშუალოდ დაკავშირებული ადგილობრივი, კოლხური მოსახლეობის ადრეანტიკური, ძვ. წ. V ს. ბერძენ მოახალშენეთა, ძვ. წ. IV ს. და ადრეელინისტური ხანის ვრცელი სამაროვნები.


ფიჭვნარის მრავალრიცხოვან მონაპოვარში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს უცხოური, შემოტანილი კერამიკული ნაწარმი, რომელიც უძვირფასეს ის-

ტორიულ წყაროს წარმოადგენს ძველი კოლხეთის ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ადრე დაწინაურებულ ცენტრებთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისათვის.

ფიჭვნარსა და საქართველოს სხვა პუნქტებში ბოლო წლებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით დასტურდება, რომ ღრმა ისტორიული ფესვების მქონე ძველი კოლხეთისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობას შედარებით ორგანიზებული, სისტემატიური ხასიათი ძვ. წ. VI ს. II ნახევრიდან მიუღია. პირველ ხანებში ჩვენში უპირატესად გავრცელებულია საბერძნეთის იონურ ცენტრებში დამზადებული ე. წ. სადა ზოლებიანი როდოსული იონური კერამიკული ნაწარმი. ბათუმის ციხის, ფიჭვნარისა და ფოთის მიდამოებში წარმოებული გათხრებისას აღმოჩენილია მათი საკმაოდ ადრეული ნიმუშებიც (ძვ. წ. VI ს. I ნახევარი), მაგრამ ამათი რიცხვი საკმაოდ მცირეა, ამიტომაც ამ პერიოდისათვის იონური ნაწარმის ინტენსიურ იმპორტზე საუბარი ნაადრევი იქნებოდა; სამაგიეროდ ძვ. წ. VI ს. შუა წლებიდან ამათი რიცხვი საკმაოდ მრავლდება; ზოგჯერ სადა ზოლებიანი იონური კერამიკული ნაწარმის მთლიანი ნიმუშები ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. ბერძენ მონახალშენეთა სამარხებულ კომპლექსებში გვხვდება. ესენია საღვინე თასები, სკიფოსები, ენოხოის ტიპის ჭურჭლები, ამფორისკები, ლეკითოსები და ა. შ. ისინი დამზადებულია სუფთა, კარგად განლექილი თიხისაგან. გამოწვა ღია მოვარდისფრო,



სადა ზოლებიანი ონოხო



ფიჭვნარში მოპოვებული თიხის ჭურჭელი

მოწითალო ან ყავისფერია. ზოგჯერ შერეულია მოთეთრო ნაწილაკები ან ქარსი. ჭურჭლის ზედაპირი კარგადაა მოპირილებული. ლაკი, რომლითაც ჩვეულებრივ



ზოლებია მოხატული ან კურკლის ზედაპირია დაფარული, ყავისფერია. ადრეულ ნიმუშების (ძვ. წ. VI ს.) საღებავი უფრო მკვრივი და სქელია, გვიანდლებს თხევადი და ცუდად დაცული.

ფიქვენარის მონაპოვარმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ერთობ მწირი ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ — ათენთან ურთიერთობის შესახებ. სახეზეა საკმაოდ უტყუარი ნივთიერი მასალები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან თვალი გავადევნოთ ამ ურთიერთობათა ხასიათს მთელს კლასიკურ ხანაში.



მსგავსად იონური, ატიკური შავლაკიანი კერამიკული ნაწარმი ფიქვენარში აღმოჩენილია როგორც კულტურულ ფენებში, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სამაროვნების ვათხრებისას.

როგორც ცნობილია, მშვენიერი გამოცემით დამზადებული მაღალმხატვრული ატიკური კერამიკული ნაწარმი ძვ. წ. VI ს. II ნახევრიდან თანდათანონთ იპყრობს საერთაშორისო ბაზარს. სწორედ ამ საუ-



ძვ. წ. V—IV სს. არიზალისებრი ლეკითოსები (ფიქვენარი)

კუნის ბოლოდან ფიჭვნარის და საერთოდ, კოლხური მოსახლეობა ებმება ატენის სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში. ფიჭვნარის გვიანარქაულ ფენებში (ძვ. წ. VI ს. ბოლო — V საუკუნის დამდეგი) არაერთგზისაა აღმოჩენილი ატიკური მხატვლი შავფიგურიანი თუ სადა შავლაკიანი საღვინე ჭურჭლების — კილიკების, თასებისა თუ სხვათა ნატეხები. ესენი დაფარულია საუკეთესო ხარისხის ზეთისხილისებრ მოლივლივე შავი ლაკით.

ძვ. წ. V ს. I მეთხედისათვის ფიჭვნარში ატიკური იმპორტი შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი. ცნობილია ცილიდრისებური მოყვანილობის ლეკითოსების, სკიფოსებისა და კილიკების რამდენიმე ნიმუში. როგორც ჩანს, იმპორტის ინტენსიურობაზე გარკვეული გავლენა იქონია ბერძენ-სპარსელთა ომებმა. სამაგიეროდ მკვეთრად იცვლება სურათი მომდევნო ეპოქებისათვის; ძვ. წ. V ს. II მეთხედიდან, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის შუა წლებიდან, ატიკურ იმპორტს ფიჭვნარის მონაპოვარში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

ათენის ჰეგემონია უცვლელი ჩანს ადრეელინისტურ ხანაშივე. ბერძნული კერამიკული ნაწარმის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცა ძვ. წ. V ს. ბერძენ მოახალშენეთა სამაროვნის გათხრებმა, სადაც მრავლადაა წარმოდგენილი საღვინე, სუფრაზე მოსახმარი, ზეთისა თუ სანელსაცხებლე და სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლები. ესენია: კილიკები, სკიფოსები, კრატერები, კანთაროსები, ენობოია, ლეკითოსები, ამფორისკები, ასკები, გუტუსები, ლეკანები, ლანგრები, სამარილეები, სათევზე ჭურჭლები და ა. შ. ბევრი მათგანი შემკულია დიდი სიზუსტით შესრულებული ნაკვეთი და ნატეფერი სახეებით.

საკმაოდ გამრავლდა მხატვლი წითელფიგურიანი ვაზები, რომლებიც ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებენ ბერძნულ ვაზათმხატვლობის ისტორიაში. ამათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ზომის წითელფიგურიანი კრატერი, რომელიც წარმოადგენს ბერძნული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს. მასზე მხატვლია სცენები ბერძნული მითოლოგიიდან და საგმირო ეპოსიდან (აპოლონი, დემეტრა, პერსეფონა, ტრიპტოლემი და ა. შ.), რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. ანალოგიური მასალების მიხედვით ჩვენს მიერ გამოცნობილი იქნა ამ ჭურჭლის მხატვრული — ე. წ. „ნიობიდების მხატვარი“, რომელიც აღიარებულია მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებლად ბერძნულ ვაზათმხატვლობაში (ამაზე სხვა დროს); ასევე მაღალი ოსტატობითაა შესრულებული სხვა წითელფიგურიანი ღარნაკებიც — ლეკითოსები, ასკები, გუტუსები და სხვ.

ძვ. წ. V ს. ბოლოსა და IV ს. I ნახევრისათვის ფიჭვნარელთა შორის უცხოური კერამიკული ნაწარმის მოხმარებას საკმაოდ ფართო, მასიური ხასიათი მიუღია. ისინი მისაწვდომი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის ფართო წრისათვის.

ძვ. წ. IV ს. II ნახევრის ატიკური ნაწარმი საკმაოდ მდარე ხარისხისაა — ლაკი მჭრქალი, მურა-მოშავო, არათანაბრად წასმული, ფორმებიც არაპროპორციული და უხეში.

იონური და ატიკური შავლაკიანი კერამიკის მსგავსად, ადრეელინისტური ხანისათვის ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის ე. წ. ყავისფერლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. ამათი რიცხვი არც თუ ისე დიდია (თასები, კილიკები და სხვ.) ფიჭვნარის მსგავსი ყავისფერლაკიანი ჭურჭლების დაშაადების ცენტრად მიჩნე-



ულია პერგამი. ფიჭვნარში მოპოვებულია ელინისტური ხანის მცოდნეობის
შავლაკიანი კერამიკის, უმეტესად სათევზე ჭურჭლის ნატეხებიც.

იონურ, ატიკურ შავლაკიანი და ყავისფერლაკიანი კერამიკასთან ერთად მე-
ტად საინტერესო სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა ფიჭვნარში აღმო-
ჩენილი უცხოური კერამიკული ტარის — ამფორების შესწავლა.

ფიჭვნარში წარმოდგენილია ანტიკური სამყაროს ბევრი საწარმოო-სახე-
ლოსნო ცენტრის კერამიკული ტარა, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი, ვფიქ-
რობთ, ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ფიჭვნარის როლზე საერთაშორისო სა-
ვაჭრო ურთიერთობათა სფეროში. ესენია: ქიოსური (ძვ. წ. VI—IV სს.), ლეს-
ბოსური (ძვ. წ. VI ს. ბოლო — V ს. დამდეგი), პროტოთაზოსური (ძვ. წ. V ს.),
თაზოსის წრის ამფორები, თაზოსური (ძვ. წ. V—IV სს.), სინოპური (ძვ. წ. IV—
III სს.), პერაკლეას (ძვ. წ. IV—III სს.), პანტიკაპეის (ძვ. წ. IV—III სს.) და
სხვა სახის ამფორათა ნაშთები, რომელთა დამზადების ცენტრი ჯერ კიდევ
არაა განსაზღვრული.

როგორც ვხედავთ, ანტიკურ ხანაში ფიჭვნარი წარმოადგენს აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს, რო-
მელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა-
თა სფეროში.



რამინ რამიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ჩუქურთმიანი სამარხი სიონიდან

1962 წელს ივრის სიონში ჩვენს მიერ გათხრილ და შესწავლილ იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შირიმით ნაგები დიდი აკლდამა და ჩუქურთმიანი სამარხი.

ივრის სიონის აკლდამა, როგორც ქართული ადრეფეოდალური ხანის თვალსაჩინო ხუროთმოძღვრული ძეგლი, სიონის ბაზილიკასთან ერთად ამჟამად თბილისის ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმშია გადმოტანილი და



ჩუქურთმიანი სამარხი გაბანაძე

თავდაპირველი სახითაა აღდგენილი. რაც შეეხება ჩუქურთმიან სამარხს, მისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.


ჩუქურთმიანი სამარხი მდებარეობდა ეკლესიის აბსიდის აღმოსავლეთით ათიოდე მეტრზე და ჩადგმული იყო სქელ თიხნარ ფენაში, აკლდამის შესასვლელის ოდნავ სამხრეთით. ნაგები იყო, მოყვითალო, ადვილად ფხენადი ქვიშაქვის უზარმაზარი ფილებით¹. შედგებოდა ორი, სრულიად თანაბარი სიდიდის

¹ ქვიშაქვას, რომელიც მესამე სამარხის ასაგებადაა გამოყენებული, ადგილობრივი მოსახლეობა „ქასურს“ უწოდებს. მისი სამტეხლო სიონის მიდამოებში არ მოიპოვება.

განყოფილებისაგან; რომელთაგან ჩრდილოეთით მდებარე, მრქელოლოგისტიკური კვლევა-ძიების დაწყებამდე შემთხვევით დაუზიანებიათ და მონგრეული კუთხიდან პირწმინდად გამოუსუფთაებიათ; რაც შეეხება მეორე, სამხრეთით მდებარე განყოფილებას, იგი ხელუხლებლად იყო გადარჩენილი.

აღნაგობით, შენების ხელოვნებით და შემკულობით ეს სამარხი განცალკევებით დგას არა მარტო საკუთრივ სიონში შესწავლილ სხვა 100 სამარხს შორის, არამედ მას შესატყვისი არაფერი მოეძებნება უფრო შორსაც.

სამარხის კედლები და სახურავი ნაგები იყო მთლიანი ქვებით, რომლებსაც შიგნითა პირი საგულდაგულოდ აქვთ მოსწორებულ-დამუშავებული, ხოლო გარეთა ამობურცული ზედაპირი — უხეშად ნაჩორკნი. ასევე მთლიანი ქვებისა-



ჩქურთმიანი სამარხი. გეგმა და ტრილი

გან უნდა ყოფილიყო შედგენილი თავის დროზე სამარხის ორივე განყოფილების სახურავებიც, მაგრამ ეტყობა სამარხის მრავალგზისი გამოყენების გამო სახურავის მონოლითური ქვები დაზიანდნენ.

სახურავის ქვების მოცილების შემდგომ გამოირკვა, რომ სამარხის ორივე განყოფილებას ჰქონდა ერთი საერთო ტიხარი. სწორედ ეს შუათანა ქვა წარმოადგენდა სამარხის ყველაზე უფრო სრულყოფილად დამუშავებულ ნაწილს. ტიხარის ქვას, ისევე როგორც ორ დანარჩენ გვერდითს, თავსა და ბოლოებში ამოჭრილი ჰქონდათ ნარიმანდები, რომლებშიც თავკედლების მონოლითური ქვები ჯდებოდა. სამარხს ჰქონდა ისეთივე ქვისაგან ნაკეთები, კარგად დამუშავებული, მთლიანი იატაკი. სამარხის გვერდები ამ იატაკზე იყო დაფუძნებული.

უკვე ამ სამარხის სიდიდე, გამოყენებული მასალის ხარისხი და მშენებლო-



ბის მაღალი კულტურა მის აშკარა საბუთია, რომ მისი შემკვეთი ოჯახი უნდა ყოფილიყო სოციალურად რიგითი. მაგრამ ჩუქურთმიანი სამარხის საკუთრებული ღირებულება ამით როდი ამოიწურება. ამ მოზრდილ საგვარეულო განსასვენებელს, შიგნიდან, ორივე განყოფილების კედლების ზედა ნაწილში შემოყვება 15 სმ სივანის ჩუქურთმიანი ფრიზი, რომელზედაც ამოკვეთილია ადრეფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული გეომეტრიული ორნამენტი. ეს არის წრეებში ჩასმული, ფოთლისებრი მოყვანილობის ჯვარედინი ნაჭდევები. ორნამენტის ამ სახეს ხალხური (ხევსურული) მასალების მიხედვით „ოთხკუთხაი ხუთანი“ ეწოდება².

მსგავსი მოტივები ცნობილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორცაა ბოლნისის ტაძარი, სვეტიცხოვლის უძველესი ფენა, აკვანება, წრომი, ივრის სიონის ბაზილიკა, წოფის ეკლესია და სხვა მრავალი.

ასეთი შემკულობა ქართულ არქიტექტურაში ხანგრძლივ გამოიყენებოდა. მაგრამ მისი ყველაზე უფრო ინტენსიური გავრცელება ადრეფეოდალურ ხანაზე მოდის.

ივრის სიონის ჩუქურთმიან სამარხის ხელუხლებელ განყოფილებაში აღმოჩნდა სხვადასხვა დროს ჩასვენებული 14 მიცვალებულის ნაშთი და პირამდე იყო სავსე ძვლებით. სამარხში მოპოვებული თიხისა და შინის ჭურჭლების და აგრეთვე სამკაულების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი გამოყენებული ყოფილა XII—XIII საუკუნეებამდე. მაგრამ მისი მშენებლობის თარიღის გარკვევა არქეოლოგიურად არ მოხერხდა. სამარხის ქვედა ფენები ძალზე არეული და შეაფეოდალურ ხანაშივე გადაჩხრეკილი ჩანდა.

ივრის სიონის ჩუქურთმიანი სამარხის მშენებლობის დროის განსაზღვრაში გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია მისსავე ჩუქურთმიან ფრიზს. მიუხედავად იმისა, რომ ჩუქურთმიანი ფრიზი დამუშავებულია დიდი სიზუსტით, ყველა ნაწილში სიმეტრიულია და გამოცდილი ოსტატის ხელითაა ნაკვეთი, მაინც ბოლნისის, სვეტიცხოვლის ძველი ნაგებობის, აკვანების და სხვა მსგავსსავე ორნამენტებთან შედარებით იგი რამდენადმე ზედაპირული და მშრალი ჩანს. ნაკვეთობას აკლია ის სიღრმე, რაც ადრეფეოდალური ხანის შედარებით ადრეული ჩუქურთმებისთვისაა დამახასიათებელი და რაც შუქრდილების ესოდენ ეფექტურ შეხამებას იძლევა.

ამ ნიშნით სიონის ჩუქურთმიანი სამარხის სამკაული ბოლნურ, მცხეთურ და სხვა შესატყვისებთან შედარებით რამდენიმამდე გვიანდელი ჩანს და როგორც ჩუქურთმა, ასევე თვით სამარხიც, ვფიქრობთ, VIII—IX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სამარხთა ხანგრძლივი გამოყენება და დაკრძალულთა მრავალფენიანობა აღმ. საქართველოს ფეოდალური ხანის სამაროვნებისათვის უცხო არ ყოფილა და ამ ნიშნით ჩუქურთმიანი სამარხიც ტიპურ სამარხთა რიგში უნდა გაერთიანდეს, მაგრამ მისი აღნაგობა და, რაც მთავარია, შიდა სამკაული — სიონის ამ


² ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, 1939, ფბ. VIII.



სამარხს სრულიად განცალკევებით აყენებს და იგი, როგორც სრულყოფილ სპეციალურ, სპეციალური შესწავლის ღირსია.

სამარხის გარეგანი ზომები: სიგრძე — 2,40 მ., ორივე განყოფილების საერთო სიგანე — 2,05 მ., სიმაღლე — 1,05 მ.

შინაგანი ზომები: ჩრდილო განყოფილების სიგრძე — 1,99 მ სიგანე აღმ. ნაწილში — 0,59 მ., დასავლეთ ნაწილში — 0,60 მ., სიღრმე — 0,78 მ., სამხრეთ განყოფილების სიგრძე — 2,02 მ., სიგანე აღმ. ბოლოს — 1,5 მ. ხოლო დასავლეთ ნაწილში — 0,63 მ., სიღრმე — 0,78 მ., ჩრდილო გრძელი კედლის სისქე — 0,25 მ., — 0,27 მ. შუათანა კედლისა — 0,275 მ., სამხრეთი კედლისა — 0,26 — 0,28 მ. სახურავის ქვების საშუალო სისქე — 22 — 25 სმ.



ჩუქურთმიანი სამარხი ვახსნის შემდეგ

იმის გამო, რომ ჩუქურთმიანმა სამარხმა უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია, მეთოდური საბჭოს დადგენილებით გადაწყდა მისი თბილისში გადმოტანა, და სიონის დანარჩენ ძეგლებთან ერთად აღდგენა. მაგრამ იმის გამო, რომ სამარხის ქვები ძალზე იოლად ფხვნილი და საკმაოდ დაზიანებული იყო, აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმმა სიონს მიაღწინა ქიმიკოს-რესტავრატორთა ექსპედიცია (ხელმძღვანელი რ. ბახტაძე), რომელმაც ცალკეული ქვები სათანადოდ გაამაგრა, თაბაშირი გადააკრა და სპეციალური ყუთებით თბილისში გადმოგზავნა (იმავე 1962 წელს).

თბილისის ღია ცის ქვეშა მუზეუმის ორგანიზაციამდე ჩუქურთმიანი სამარხის ცალკეული ქვები მოთავსდა არმაზის ბაზაში, ამასობაში ღია მუზეუმში თავისი ადგილი დაიმკვიდრა სიონის ბაზილიკამ, მიწისქვეშა აკლდამამ და კიდევ



სხვა მრავალმა ძეგლმა, მაგრამ ჩუქურთმიანი სამარხი რატომღაც ყურადღებულად
გარეშეა დატოვებული, ჩვენ ამ ხნის მანძილზე არა ერთხელ მივმართეთ
(ტყვერად და წერილობით) მეთოდურ საბჭოს და სათანადო დაწესებულებებს,
რათა მიეღოთ საჭირო ზომები ძეგლის აღდგენის დაჩქარების მიზნით, მაგრამ
ამაოდ.

ამჟამად ამ უნიკალური სამარხის ქვები საქართველოს სახელმწიფო მუზე-
უმის არმაზის ბაზის ეზოში, ღია ცის ქვეშ ყრია. ხის ყუთები, რომლებშიაც
ცალკეული ფილები იყო ჩასმული დაღა და დაიშალა, ხოლო თაბაშირი კი შე-
მოფხვინა. ასე, რომ გაგრძელდეს ღვთის ანაბრად მიტოვებული ჩუქურთმიანი
სამარხისაგან ალბათ სულ მოკლე ხანში აღარაფერი დაგვრჩება. ამჟამად ძეგლის
დაცვას და აღდგენას ის უშლის ხელს, რომ მას „პატრონი“ არ ჰყავს.

მუზეუმის ხელმძღვანელობა იმის მოლოდინში, რომ ჩუქურთმიანი სამარხი
ღია მუზეუმში უნდა იქნეს გადატანილი ხელს არ ჰკიდებს მის აღდგენას, ხოლო
ძეგლთა დაცვის სამმართველოს კი იმის გამო, რომ იგი სატიტულო სიაში არ
უხის, ვერ მოუხერხდა სათანადო სახსრების გამოწახვა, რათა საქმეს გონივრუ-
ლად მოეხდინათ. ამასობაში თვით ძეგლი ხელიდან გვეცლება. და ეს სრულიად
მოუტივებელია. სხვა რომ არა იყოს რა ძალზე დასანანი ის უზარმაზარი შრომა
და სოლიდური ფულადი სახსრები, რაც სამარხის ცალკეულ ქვების თბილისში
გადმოსატანად დაიხარჯა.

ახლა, როდესაც ჩუქურთმიანი სამარხის აღმოჩენიდან მ წელი გავიდა,
იქნებ „ძეგლის მეგობრის“ მეშვეობით მაინც მოგვარდეს ამ უნიკალური ისტო-
რიული ძეგლის დაცვა და კარგად წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.



ბიორგი ხუციშვილი

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ხელოვნების
ისტორიისა და თეორიის კათედრის მასწავლებელი

ვრესპა საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძრიდან

საფარის მონასტერი — ქართული შუასაუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია.

მონასტრის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს XIII ს. ბოლოს ბექა მანდატურთუხუცესის დროს აგებული — წმ. საბას გუმბათოვანი ტაძარი. ძეგლი ფრიად საყურადღებოა და განსაკუთრებით იმით, რომ იმ დროინდელი აღმოსავლეთ საქართველო არც თუ ისე მდიდარია მსგავსი ძეგლებით: სულ მცირე ხნის წინ ძველვაშოსილი ქვეყანა ფაქტიურად ჰკარგავს დამოუკიდებლობას და სისხლისმღვრელ ომებში დაუძლეურებელი ძლიერი დამპყრობლების წინაშე პირისპირ აღმოჩნდება. უაღრესად რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა და სამხედრო მდგომარეობამ საქართველო უმტკივნეულები პრობლემების წინაშე დააყენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1266 წ. ჯაყელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა დამაარსებელმა — სარგის ჯაყელმა, რომელიც ათაბაგის მაღალ ტიტულს ატარებდა, თავისი სამფლობელო — სამცხე უშუალოდ მონღოლთა ყაენის განმგებლობას დაუმორჩილა (რა სუბიექტური მოტივებითაც უნდა ყოფილიყო ეს ნაბიჯი ნაკარნახევი, ობიექტურად ეს ქვეყნის ღალატს ნიშნავდა).

1285 წ. ქამთალმწერელის მიხედვით სარგის ათაბაგი ავადმყოფობის გამო ჩამოსცილდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და ბერად შედგა საბას სახელით, ჯაყელთა ძველ რეზიდენციაში საფარის მონასტერში. მამის საპატივცემულოდ ბექა მანდატურთუხუცეს სარგის-საბა ჯაყელის ძე საფარის მონასტრის მიძინების X ს. უგუმბათო ეკლესიის გვერდით აგებს დიდ გუმბათოვან ტაძარს. ამ უკანასკნელის პატრონად წმ. საბა ითვლება.

წმ. საბას ტაძარი, როგორც ამას კედლის წყობის ანალიზი ადასტურებს, თავიდანვე მოსახატავად იყო განკუთვნილი.

ჩვენს დღეებამდე საკმაოდ კარგად მოღწეული კედლის მხატვრობა ძეგლის რთული ცხოვრების სურათს წარმოგვადგენს: სხვადასხვა დროს კედლები რამდენჯერმე ყოფილა გადაწერილ-განახლებული, თუმცა ამ განახლებებს არ დაურღვევიათ ტაძრის კედლებზე განლაგებული სცენების სიუჟეტური თანმიმდევრობა.

წმ. საბას გუმბათში გამოსახულია მაცხოვრის ამაღლება სრული რედაქციით, გუმბათის ყელში რვა წინასწარმეტყველი, აფრებზე მხარებელთა გამოსახულებანი მრგვალ მედალიონებში. საკურთხევის აფსიდში ვედრებისა და პურიითა და ღვინით ზიარების კომპოზიციები და წმინდანთა ფრიზი დიაკვნებით კიდევში, ბეშაში „ჯუარი ძლევისაი“ მედალიონში და ორი მთავარანგელოზი. ტაძრის კედლებსა და გუმბათის ქვეშა სვეტებზე თავსდება მაცხოვრის ცხოვრების ამსახველი სცენები, მეორედ მოსვლის რთული კომპოზიცია, ევსფათე პლაკიდას სასწაული, იესო ძე ნავესი მთავარანგელოზ მიქელის წინაშე, ქტიტორთა პორტრეტი, წმ. მხედართა გამოსახულებანი და იესეს ხის გამოსახულება.

ამჯერად სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება. ამ



სიუჟეტს უკავია წმ. საბას ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის გუმბათის ქვეშა სვეტიქონის სამხრეთის წიბო. ეს სვეტი ამავდროს წარმოადგენს ჩრდილოეთის პატრონიკეს ნაწილსაც, ასე რომ ფრესკა ვრცელდება აგრეთვე პატრონიკეს კედელზეც. ზემოდან იგი შემოსაზღვრულია პატრონიკეს იატაკით, მარჯვნიდან სვეტის კიდეით, მარცხნიდან კი — პატრონიკეს ქვედა სართულის თალით. ფრესკა დაჩაბანნილია, ალაგ-ალაგ საღებავიც ჩამოცვენილია, მაგრამ საერთო მონახაზის გარჩევა საკმაოდ ადვილად შეიძლება.

ფრესკის ქვედა კიდე მოთავსებულია იატაკის დონიდან ადამიანის სიმაღლეზე. ღეთისმშობლის გენეალოგია წრმოდგენილია ხის სახით. ხე მუქი მწვანე ნიადაგიდან იზრდება. ხის უკან მოჩანს ღია ლურჯი საღებავით დაწერილი მთები. აქვე ხის ძირში შავი საღებავითაა გაკეთებული დიდი ეკლიანი მცენარეები წითელი ყვავილებით. (ასეთივე მცენარეებია „წმ. ევსფათეს“, „იოდან ამზორის“, „ქრისტეს შობის“ კომპოზიციებში). ხის ღერო გადაწყვეტილია ერთი-მეორის თავზე დაყენებული ოთხი ფიგურის სახით. ღეროდან გამომდინარეობენ ტოტები, რომლებიც მრგვალი მედალიონებით გვირგვინდებიან, მედალიონებში პორტრეტებია მოთავსებული. ხის ქვედა ნაწილი მეორე პლანზე წამოწოლილი მამაკაცის ფიგურას უკავია.

ხის ღეროს ქვედა ნაწილი ძლიერადაა დაზიანებული. დაახლოებით შუა წელზე გამოსახულია წვ.რ-ულვაშიანი მოხუცი სამეფო ტანსაცმელსა და გვირგვინში (სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე ჩაცმულობა და გვირგვინი აქვს დავითს გუმბათის ყელიდან). ტანსაცმელი წითელი ფერისაა. ფიგურას ორივე ხელით მკერდთან გახსნილი გრაგნილი უპყრია. ამ პირის სახელის აღმნიშვნელი წარწერა შარავანდის მარჯვენა მხარესაა მოთავსებული:

და თ

ეს მეფე დავითია. გრაგნილზე შემორჩენილია დაზიანებული ოთხსტრიქონიანი წარწერა:

ფმილანი
 ო : სა
 გოფა
 ლი...

დავითის თავზე დგას ახალგაზრდა, სამეფო ტანსაცმელსა და გვირგვინში. შარავანდთან მოთავსებულია წარწერა:

სოლომო
 6 :

ხელში სოლომონს გახსნილი გრაგნილი უპყრია, რომელზეც შეიდსტრიქონიანი წარწერაა:

სიბრძ
 ნამ
 ან : ი...
 ენა :
 სახ
 ლი : თ
 ვისა :



სოლომონის ზემოთ კიდევ ორი ფიგურაა თითქმის მთლიანად ჩამოცვენილი მათი მხოლოდ მკრთალი მონახაზი განირჩევა. მეორე ფიგურის თავზე ვაღის კადარის შემომფარვლავი წითელი ზოლი, რომელიც პატრონიკეს საართულების მიჯნასაც წარმოადგენს.

ხის ძირში გამოსახულია მამაკაცის ფიგურა. იგი ძლიერადაა გაშავებული და არც სახელის აღმნიშვნელი წარწერა ჩანს სადმე.

ხის ღერო მთელ სიმაღლეზე ორსავე მხარესაა თანაბრად დატოტვილი. თვითული ტოტი რამდენიმე მედალიონი-შარავანდით მთავრდება. ჩვენ განზრახ ვიხმარეთ ეს გამოთქმა „მედალიონი-შარავანდი“, რადგან ზოგჯერ პორტრეტები მთლიანად არიან ამ მედალიონში მოქცეულნი, ზოგჯერ კი კისერი და წვერი გამოდიან წრეხაზიდან. მაშინ მედალიონი შარავანდად იკითხება.

მარჯვენა მხარეს ქვევიდან პირველი გამოსახულებაა — შუახნის კაცი ოქროსფერი შარავანდით, მცირედი წითურობით დაწვებზე. მამაკაცს მოკლე წვერ-ულვაში აქვს. წარწერა შარავანდის ზემოთ თავსდება:

მლიაზარ :

ელიაზარის მოპირდაპირე მხარეს მარცხნივ კიდევ სამი მედალიონი ჩანს. იკითხება ერთი წარწერა:

აზია

მარჯვნივ სოლომონის ტერფების გასწვრივ ოთხი მედალიონია. იკითხება სამი წარწერა:

ასა

იოსაფატ :

იოათამ :

ამის შემდეგ შემორჩენილია კიდევ 17 შარავანდიანი პორტრეტი ხის ორივე მხარეს. ალაგ-ალაგ იკითხება რამდენიმე ძლიერ დაზიანებული ასო და ერთი სახელი მთლიანად. ეს ქალის გამოსახულებაა:

ასარია

სტილის მიხედვით ეს ფრესკა უდავოდ უკავშირდება დასავლეთისა და ჩრდილოეთის მკლავების ფერწერას და განსაკუთრებით წმ. საბას ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ ფრესკას — „მეორედ მოსვლის“ სიუჟეტს. ამ ჯგუფის ფრესკებში აშკარად იგრძნობა ოსტატის სურვილი ან მიდრეკილება იაზროვნოს დეკორაციული, სიბრტყობრივი კატეგორიებით და ამას უპირატესად ხაზის გამომსახველობითი საშუალებებით აღწევს.

როგორც ცნობილია, „იესეს ხის“ გამოსახულებანი საკმაოდ პოპულარული სიუჟეტებია XIV—XV საუკუნეებისა და უფრო ადრეული ხანისთვის¹. ამის მაგალითად ყინცივის გამოგვადგება XIII სს., ხარების ტაძარი მოსკოვში (მოხატულია თეოფანე ბერძენის მიერ 1405 წელს), პანავია პანტანასა მაკედონიაში (1289 წ.)², პეტრესა და პავლეს ეკლესია ტირნოვოში (ბულგარეთი, XIV ს.) და სხვ.³

¹ Н. П. Кондаков «Иконография Богоматери» том II, Петроград. 1915 г., стр. 233.
² В. Н. Лазарев «История Византийской Живописи» том I, Москва, 1947 г. стр. 173
³ იქვე, стр. 218, 380.



სათარის წმ. საბას ფრესკა ზომით აღემატება ყველა, დღემდე აღმოჩენილს—საქართველოში. ამ მხრივაც წმ. საბას კედლის მხატვრობა ინარჩუნებს თავისებურებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ღვივდება ინტერესი ადრე-ქრისტიანული სიუჟეტებისადმი. ამ ინტერესის არსებობა კი უდავოდ ფაქტია, იმდენად, რამდენადაც აქვე — წმ. საბაში მოიპოვება ისეთი მართლაც იშვიათი სიუჟეტები, როგორცაა „წმ. ესფათეს სასწაული“, „იესო ძე ნაგესი მთავარანგელოზ მიქელის წინაშე“ ან რელიეფი „დანელი ღომების თხრილში“.

ამრიგად, XIV—XV სს. ხასიათდებიან, როგორც ჩანს, ძველი ფორმებისადმი ინტერესის აღმოცენებით და ამ საყურადღებო ტენდენციის შესწავლის თვალსაზრისითაც სათარის წმ. საბას ტაძრის კედლის მხატვრობა მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.




ბისარიონ ჯორბანაძე

ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

აკლდამა სოფელ კავთისხევში

მდინარე კავთურა მტკვრის ერთი იმ შენაკადთაგანია, რომელიც ხშირად რუკაზე არც აღინიშნება ხოლმე. იგი დიდგორის ქედიდან გამოედინება და მტკვარს ერთვის ს. ქვემო ხანდაკთან. ხეობის სიგრძე სულ ოციოდე კილომეტრი თუ იქნება. სწორედ ეს აღმოჩნდა მისი უპირველესი ღირსებათაგანი — ამ ხეობის მუშეობით შიდა ქართლი უმოკლესი გზებით უკავშირდება ქვემო ქართლსა



კავთისხევის აკლდამა. ისრულთალიანი ნიში

და თრიალეთს. ეს გარემოება ანიჭებდა კავთურას ხეობას მნიშვნელობასა და გარკვეულ ადგილს საქართველოს ისტორიაში.

ხეობა ძველითგანვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რასაც თვალნათლივ ადასტურებს მრავლად შემორჩენილი ნამოსახლარი და ხუროთმოძღვრების ძეგლები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: იდლეეთის ადრეფეოდალური ხანის, გეგმით ჯვრისებრი ეკლესია; XII—XIII საუკუნეების, მრავალფეროვანი ჩუქურთმებით უხვად შემკული გუმბათოვანი ტაძარი ქვათახევში; სოფელ წინარეხთან ახლოს მდგარი, XII—XIII საუკუნეებში აგებული ერთნაფიანი

გელესია და შის გარშემო მაღალაძეთა მიერ XVI—XVIII საუკუნეებში მიშენებული სასახლე, კოშკები და სამარეკლო.

არის აგრეთვე ათულოებით გელესიის, კოშკის, ციხე-გალაგნისა და სასახლის ნანგრევები, რომლებიც ამ მცირე ხეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მოწმეებად გვევლინებიან.

ერთი ასეთი თავისებური ძეგლია მიწისქვეშა ნაგებობა—აკლდამა, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1963 წლის ზამთარში, სოფ. კავთისხევში, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. მონასელიანთ უბანში¹.

იმავე უბანში არის კლდის ქვით ნაგები, -წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი გელესია, ხოლო შის გარშემო — ნამოსახლარი. გელესია და ალბათ ნამოსახლარიც. გვიანფეოდალურ ხანას, XVI—XVII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ვარაუდს გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს მახლობლად მდებარე აკლდამის ხნოვანების დადგენისას.

აკლდამის ადგილი ოდნავ შემალბებულია. იმ პატარა ბორცვზე მშენებლობისათვის ქვის შეგროვების დროს 1,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოზრდილი ფილაქვები. მათი ალების შემდეგ, ქვეშ ორი პარალელური კედელი გამოვლინდა და გამოირკვა, რომ ეს იყო კლდის ბრტყელი ქვით გადახურული, შენობაში შესასვლელი „დროშისი“, როგორც უწოდებენ ხოლმე მიწისქვეშა აკლდამათა ასეთ დერეფნებს.

აკლდამის დროშისი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. შისი კედლების ქვედა ნაწილი ამოყვანილია კლდის მომცროს ქვით, ხოლო მეორე ნაწილები — ბრტყელი აგურით. დროშისის სიგრძე უდრის 1,5 მ, სიგანე — 0,9 მ — 1,1 მ, სიმაღლე — 1 მ. შესასვლელთან შემორჩენილია ოთხსაფეხურიანი კიბე (საფეხურია სიმაღლე — 0,25 მ).

აკლდამის საკანს დროშისი უკავშირდება აღმოსავლეთიდან ისრულთაღიანი შესასვლელის საშუალებით (სიმაღლე 1,12 მ, სიგანე — 0,84 მ) იმ ადგილას საკანში ჩადის ოთხსაფეხურიანი კიბე, ნაშენი კლდის ქვით, აგურითა და კირით (საფეხურის სიმაღლე — 0,2 მ).

საკანი ოთხკუთხედიან (ფართობი 2,85 მ×2,7 მ×3 მ), გადახურვა კი მრგვალკუმბათოვანი აქვს. ოთხივე კუთხეში იატაკიდან 1,4 მ. სიმაღლეზე აგურით ტლანქად არის გამოყვანილი ისრული ფორმის ტრომბები, რომელთაგანაც უშუალოდ იწყება აგურის სფერული გადახურვა. საკნის კედლების ქვედა

¹ ამ აღმოჩენის შესახებ ისტორიის ინსტიტუტის ანტიკური და ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებას აცნობა იმავე ინსტიტუტის თანამშრომელმა პროფ. ი. კაკაბავამ, ხოლო დამატებითი ცნობები მოგვაწოდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა ირ. ზაქარიაშვილმა.

ინსტიტუტმა მიაგლინა აღმოჩენის შესასწავლად უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გ. ლომთათიჭე, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები ზ. შატბერაშვილი, ბ. ჟორბენაძე, ვ. კანდელაკი (მხატვარი) და მ. კოზლოვსკი (ფოტოგრაფი).

მანამდე ერთი თვით ადრე ეს ძეგლი დაუთვალიერებიათ საქართველოს სსრ ზელოვნების სახელმწიფრო მუზეუმის თანამშრომლებს ო. სანებლიძეს, გ. აბრამიშვილს და ჟ. ნადირაძეს. მათ მცირეოდენი ჩაუთბრიათ აკლდამის გარეთ და გაუშინებულებიათ თიხის რამდენიმე მილი. ო. სანებლიძის აზრით, ისინი უნდა უკავშირდებოდნენ აკლდამის შიგნით არსებულ მილებს და შესაძლოა უწინ იქ იყო აბანო, რომელიც შემდგომ აკლდამად უმცვეიათ.

ნაწილი 1,1 მ. სიმაღლეზე ამოყვანილია კლდის ქვით, ხოლო ზევით წყობა შედგება ბრტყელი აგურისაგან.

გუმბათის აგურის წყობას ზემოდან ადევს ფილაქვები, შემდეგ ქვის გროვაა, ხოლო სულ ზემოთ — მიწაყარილი.

საკანისა და დროშოსის კედლები კირის დულაბზეა დაწყობილი. კედლები და იატაკიც კირითაა შელესილი.

საკანის სამხრეთსა და დასავლეთ კედლებს ზედა ნაწილში დაყოლებული აქვთ თიხის მილები, ერთის სიგრძე უდრის 0,35 მ, მეორისა — 0,4 მ, ორთავე დიამეტრი 0,5 მ. მილები დაქანებულია შიგნით. მათი გარე ნაწილი ყრუდაა დახშული. დანიშნულება გაურკვეველია.

აკლდამაში არეულად და ნაკლულად ეყარა ერთი ადამიანის დამტკრეული ძვლები. ჩანს, ადრევე გაუძარცვავთ.

კავთისხევის აკლდამის არქიტექტურაში იგრძნობა გვიანფეოდალური ხანის ტიპური ნიშნები: წყობაში უხეშად გათლილი ქვისა და აგურის გამოყენება, აგურით გადაყვანილი გუმბათი და თალი, ისრული ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია XVI—XVIII საუკუნეების უმრავლეს ქართლ-კახური ნაგებობისათვის.

კავთისხევის აკლდამა წააგავს თელავში 1862 წლის ექსპედიციის მიერ (გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით) ნაწილობრივ გათხრილ მიწისქვეშა მრგვალგუმბათიან აგურის ნაგებობას, რომელიც მიჩნეულია გვიანფეოდალური ხანის მუსლიმურ აკლდამად. ყურადსაღებია, რომ იმ ნაგებობასაც აქვს კედელში დატანებული მილი.

კავთისხევის აკლდამა, ისევე როგორც თელავისა, აშენებული უნდა იყოს იმ ეპოქაში, როცა ქართლ-კახეთის ხუროთმოძღვრებაში იგრძნობოდა ისლამური ელემენტების შემოჭრა.

აკლდამის შესწავლის დროს ჩვენ გვაცნობეს, რომ ძველად ის ადგილი უთხრია ვინმე თარხნიშვილს და რაღაც ნათეებიც უპოვნია. ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი ეს ცნობა დასტურდება სხვა წყაროებითაც.

„საისტორიო მოამბეში“ (1952 წ. № 6) გამოქვეყნებულია შ. ხანთაძის ბუბლიკაცია „დომიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი“, სადაც № 17 წერილში, რომელიც დათარიღებულია 1860 წლის 14 მაისით, ნათქვამია შემდეგი: „სოფელსა კავთისხევში მიაშბეს — ამ ოცის წლის წინათ უპოვნიათ ამ სოფლის მახლობლად, მდინარე კავთურის გაღმით, მალღობზედ აკლდამა. შიგ მიცვალებული მძიმედ მორთული, რომელსაც თავით და ფერხთით სდგომია თითბრის შანდლები, ის მიცვალებული ყოფილა დაფერფლილი, მაგრამ ფერფლი სულ ბზინავდაო. ოქროს გულის ღილი დიდი, ორი ცერის ტოლი და შანდლები იორამ თარხნიშვილს დაუშლევინებია, იმისი ვეღარა გავიგე რა.“

წერილიდანვე ჩანს, რომ დ. მელვინეთხუცესიშვილისთვის უჩვენებიათ „...ამ ალაგსავე ნაპოვნი ამ მოკლე დროში, ნივთები“... მათ შორის ყოფილა ოქროს ბეჭედი, რომელშიაც ჩასმულ ქვაზე ამოჭრილია მწოლიარე ირმისა და ნახევარმზის გამოსახულება.

ჩვენ მიერ შესწავლილი აკლამის ადგილმდებარეობა თითქოს ემთხვევა დიმიტრი მელვინეთუხუცესის შვილის მიერ აღწერილს. შესაძლოა, ორივე შემთხვევაში ერთ და იმავე აკლამასთან გვაქვს საქმე. აღმოჩენის ადგილი ისეთია, რომ იქ სხვა აკლამების არსებობაც საგულისხმეებელია.

ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია, რომ თემურ-ლენგის განდევნის შემდეგ XV საუკუნიდან იწყება კავთურას ხეობის ხელახალი აღორძინება. ეს კარგად არის ასახული ნიეთიერი კულტური ძეგლებშიც. მონასელიანთ უბანში იმ მიწისქვეშა ნაგებობის აღმოჩენაც სწორედ ამის ერთი დადასტურებაა. აღნიშნული ადგილის მომავალი არქეოლოგიური შესწავლა ალბათ მეტ ნათელს მოფენს, ხეობის წარსულის გაშუქებას.



კავთისხევში XIX ს. მიგნებული აკლამიდან მომდინარე ოჭროს გერბიანი საპკული



თამარ ნიკოლოზის ასული ლომოური

ხუთი წელი გავიდა პირველი ქართველი ისტორიკოსი ქალის, საქართველოში ნუმისმატიკური მეცნიერების ფუძემდებლის — თამარ ნიკოლოზის ასულ ლომოურის გარდაცვალებიდან.

თ. ლომოური დაიბადა 1883 წელს გორში, გამორჩენილი მწერლის ნიკო ლომოურის ოჯახში. გორის ოთხკლასიანი პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ თ. ლომოურმა სწავლა განაგრძო თბილისის ქალთა I გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს და ორი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ — გორში.

1906 წელს თ. ლომოური შევიდა პეტერბურგის ქალთა უმაღლესი (ბესტუჟევის) კურსების ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე. 1910 წელს წარმატებით დაასრულა აღნიშნული სასწავლებელი, დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა რუსულ ენასა და ისტორიას.



1918 წელს თ. ლომოური შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე და მოისმინა სრული კურსი. 1922 წელს დატოვებული იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად სომხეთის ისტორიის კათედრისათვის. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თ. ლომოურმა ღრმად შეისწავლა საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების (სომხეთის, სპარსეთის, არაბეთის) ისტორია და

საფუძვლიანად დაეუფლა სომხურ, სპარსულ და არაბულ ენებს.

1924 წელს თ. ლომოური დანიშნულ იქნა უნივერსიტეტთან არსებული ნუმისმატიკური კაბინეტის გამგედ.

1926 წელს თ. ლომოურმა ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები საქართველოს, სომხეთისა და სპარსეთის ისტორიებში. იმავე წელს უნივერსიტეტში დაინიშნა ლექტორად და მიენდო დამხმარე დისციპლინებში (პალეოგრაფია, ნუმისმატიკა, დიპლომატიკა) კურსის კითხვა. 1932 წელს თ. ლომოური დამატიკოს დოცენტად. ლექციების კითხვის პარალელურად ატარებდა მეცადინეობას საქართველოს ისტორიის ასპირანტებთან პალეოგრაფიასა და ნუმისმატიკაში.

1931 წლიდან 1952 წლამდე თ. ლომოური მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში — ჯერ როგორც უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ კი — ნუმისმატიკის კაბინეტის გამგედ.

ფასდაუღებელია თ. ლომოურის დამსახურება ქართული ნუმისმატიკის

წინაშე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს თ. ლომოურამდე საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებს თავის შტატში არ ჰყოლიათ სპეციალისტი ნუმისმატი.

საქართველოში დაცული ნუმისმატიკური მასალის მეცნიერულად წესრიგში მოყვანა მრავალი წლის დამძაბულ შრომას მოითხოვდა. თ. ლომოურმა გაბედულად იდგა თავს ამ უაღრესად მძიმე ჭაბანის წვეა. თითქმის 15 წლის მანძილზე ამ დიდებულ ქართველ მანდილოსან მეცნიერს მარტოდ-მარტო, იშვიათი კეთილსინდისიერებითა და საქმის ღრმა ცოდნით სისტემაში მოჰყავდა საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში დაცული ნუმისმატიკური მასალა.

1924—1931 წწ. თ. ლომოურმა სისტემაში მოიყვანა და აღწერა უნივერსიტეტის ნუმისმატიკური კაბინეტის ქართული, რუსული, სომხური, პართული, სასანური და არაბული მონეტები.

1931 წელს უნივერსიტეტის ნუმისმატიკური კაბინეტის მონეტები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. აქვე მოხდა აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებების კუთვნილი კოლექციების თავმოყრა. ასე ჩაეყარა საფუძველი ნუმისმატიკურ უჯრედს საქ. სახელმწიფო მუზეუმში, რომელსაც სათავეში დოც. თ. ლომოური ჩაუდგა. მისი დაუღალავი და აკადემიური მოღვაწეობის შედეგად, მუზეუმის ნუმისმატიკური კაბინეტის უკვე მდიდარი მასალა ხელახლა იქნა კლასიფიცირებული და განსაზღვრული. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი, შრომატევადი და პატრიოტული საქმე. ამ „შავი“ სამუშაოს ჩატარების გარეშე, წარმოუდგენელი იყო საქართველოში ნუმისმატიკური მეცნიერების განვითარება.

1940 წელს დაიწყო საქ. სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის კაბინეტის რეორგანიზაცია. მონეტების დიფერენციაციას ფონდებში საფუძვლად დაედო მათი ძირითადი ნიშანი — სადაურობა. ამ სკრუპულოზული სამუშაოს მთელი სიმძიმე თ. ლომოურმა თავის მხრებზე გადაიტანა, ვინაიდან ქართველ ნუმისმატიკებს შორის ის კვლავ რჩებოდა აღმოსავლური ენების ერთადერთ მცოდნედ. დიდი შრომა აქვს გაწეული თ. ლომოურს ნუმისმატიკის კაბინეტის აღმოსავლური მონეტების მოძრავი კატალოგის შესადგენად.

